შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№41 (10.146)

9—16 ნოემბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ტარიბანაში ნავთობის მოპოვებისთვის ინვესტორს ეძებენ

დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველომ საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. ტენდერი ითვალისწინებს მოიძებნოს კომპანია, რომელიც 2025 წლიდან დედოფლისწყაროში, ტარიბნის ველზე ნავთობსაძიებო სამუშაოებს დაიწყებს.

„ფრონტერას“ მიერ მოპოვებული ნავთობიდან საქართველოს წვეთიც არ მიუღია

2000 წლის 9 აპრილს, როცა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დედოფლისწყაროს ესტუმრა და ტარიბანაში ნავთობის საბადოს გახსნის ცერემონიას დაესწრო, გემახსოვრებათ მისი უცნაური ჟესტი, ნავთობი ჭიქით რომ დააგემოვნა და ყურადღება აქ აღმოჩენილ დიდ მარაგზე გაამახვილა. ცერემონიაზე ითქვა ისიც, რომ „ფრონტერას“ ამოქმედებით საქართველო ბევრ სარგებელს მიიღებდა და სიკეთეს იგრძნობდნენ დედოფლისწყაროელებიც. იმხანად ამ ინფორმაციამ იმედის სხივი ბევრს ჩაუსახა.

„საქნავთობის“ პრეზიდენტმა რევაზ თევზაძემ შევარდნაძეს უთხრა, აქ ქართველი მენავთობეებისთვის ასეთი წესია, ნავთობი უნდა დალიოო. შევარდნაძემაც აიღო ნავთობით სავსე ჭიქა და პირისკენ წაიღო. რამდენიმე წამით ყველა გაინაბა, მაგრამ მომენტალურად დაიძახეს, „არა, არაო“, შევარდნაძემ მაინც მიიდო ჭიქა ტუჩებთან... და შემდეგ მთელი მსოფლიო მოიარა ამ კადრებმა“... ეს ფოტო არაერთ მსოფლიო გამოცემაში მოხვდა.

როგორც გაზეთ „შირაქმა“ გაარკვია, ეკონომიკის სამინისტროს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ ტენდერი დედოფლისწყაროში მდებარე XII ბლოკზე გამოაცხადა. წინადადებების მიღება 2025 წლის 27 იანვარს 17:00 საათზე დასრულდება და იმავე დღის 18:00 საათზე გამარჯვებული კომპანიაც გამოვლინდება.

გარდა ამისა, იგეგმება დედოფლისწყაროს რკინიგზის სადგურიდან ნავთობბაზამდე არსებული რკინიგზის ხაზის აღდგენითი სამუშაოები. 20-25 ოქტომბერს კიდევ ერთი, შესაბამისი ტენდერიც იყო გამოცხადებული, რომელიც სარკინიგზო ხაზის აღდგენისთვის 297 943 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას ითვალისწინებდა, თუმცა ტენდერი არ შედგა.

„საქართველოს სახელმწიფო წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს სახით, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესების“ თანახმად, 2024 წლის 24 ოქტომბერს აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად XII სალიცენზიო ბლოკზე.

სააგენტოს უფროსის სახელზე წამოდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საინფორმაციო პაკეტი სახელშეკრულებო ფართობისა და ტენდერის პირობების შესახებ. საინფორმაციო პაკეტის გაცემა დაიწყება მიმდინარე წლის 11 ნოემბრიდან. საინფორმაციო პაკეტი გაიცემა უფასოდ, ელექტრონული ვერსიის სახით CD-ზე ან/და ელექტრონული საფოსტო ყუთიდან საინფორმაციო პაკეტის ჩამოტვირთვის გზით. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უნდა ქონდეთ ნავთობის და გაზის ძებნა-ძიების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.

ცნობისთვის: ნავთობკომპანია „ფრონტერასთან“ მრავალწლიანი დავის შემდეგ ქართულმა სახელმწიფომ დედოფლისწყაროს საბადო ამერიკულ კომპანიას ჩამოართვა და ორიოდ წელია ეკონომიკის სამინისტროს დაუქვემდებარა.

„ტარიბანაში წლების მანძილზე მოპოვებული ნავთობიდან საქართველოს წვეთიც არ მიუღია“ — ამგვარი განცხადებებით ხაზს იმას უსვამდნენ, რომ ფრონტერას აღებული ვალდებულებები არასოდეს შეუსრულებია. მიუხედავად პირობების მუდმივი დარღვევისა, ამერიკული კომპანია ხელშეკრულების დარღვევას არ აღიარებდა, ცრუ ინფორმაციებს ავრცელებდა და საქართველოს ხელისუფლებას კრიტიკული განცხადებებით თავს ესხმოდა.

ქართული მხარე ხაზგასმით ამბობს, რომ „ფრონტერას“ დედოფლისწყაროში, ტარიბნის ველზე მოპოვებული ნედლეულიდან, ოპერირების დაწყებიდან დღემდე, სახელმწიფოსთვის 1 წვეთი ნავთობიც არ გადაუცია! არადა **90-იან წლებში ამერიკულმა კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ აქ მოპოვებული ნავთობიდან გარკვეულ წილს ქართული მხარეც მიიღებდა.** ამ ვალდებულების დარღვევა საქართველომ საერთაშორისო არბიტრაჟში გაასაჩივრა, რამაც ამერიკელების გაღიზიანება და კრიტიკული წერილების მომრავლება გამოიწვია. გაირკვა ისიც, რომ რამდენიმე კონგრესმენი „ფრონტერასგან“ წლების მანძილზე ფინანსურ შემოწირულობას იღებდა, ეს კი იმ ფონზე, როცა დედოფლისწყაროს საბადოს თანამშრომლების ხელფასებს თვეობით ვერ გასცემდნენ.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, საქართველოსა და ამერიკულ კომპანია „ფრონტერას“ შორის ხელშეკრულება 1997 წელს გაფორმდა და მკაფიოდ განისაზღვრა, ვის რა უნდა გაეკეთებინა, ან რა სარგებელი უნდა ჰქონოდა ნავთობის მოპოვებიდან საქართველოს.

„ნავთობის პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ დედოფლისწყაროში მოპოვებული ნავთობით ორივე მხარე ისარგებლებდა და ცხადია ამ ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული ნაწილი საქართველოსაც უნდა შეხვედროდა. კომპანია ამ წლების განმავლობაში ნედლეულს მოიპოვებდა, მუშაობა არ გაუჩერებია, თუმცა, არცერთხელ არ გადაუცია ქართული მხარისთვის რაიმე ფინანსური სარგებელი, ან ნედლეული,“ - აცხადებს საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციის წარმომადგენელი ვაჟა ხიდაშელი.

2018 წელს ქართულმა მხარემ „ფრონტერას“ წინააღმდეგ და ჰააგის მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო სასამართლოში საარბიტრაჟო მოთხოვნა შეიტანა ფრონტერას მიერ პწგხ (პროდუქციის წილობრივი გადანაწილების ხელშეკრულება) პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საარბიტრაჟო სასამართლომ 2020 წლის 17 აპრილს მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება. სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად დაადგინა, რომ „ფრონტერამ“ არსებითად დაარღვია პწგხ. ამასთანავე, სასამართლომ „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენს“ და „ფრონტერა აშშ-ს“ (სოლიდარული მოპასუხე პროცესში) დააკისრა მოსარჩელეებისთვის ხარჯებისა და ზარალის ანაზღაურება, რაც ჯამურად დაახლოებით 6 მილიონი აშშ დოლარია.

საარბიტრაჟო ტრიბუნალმა მხარი დაუჭირა ქართული მხარის სამართლებრივ პოზიციას და დააკმაყოფილა კორპორაციისა და სააგენტოს მიერ წარდგენილ მოთხოვნათა აბსოლუტური უმრავლესობა. კერძოდ, საარბიტრაჟო სასამართლომ დაადგინა, რომ „ფრონტერამ“ არსებითად დაარღვია კონტრაქტი (პწგხ), რაც, თავის მხრივ, კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ფრონტერა“ ვალდებულია, აუნაზღაუროს კორპორაციას მის ნაცვლად გადახდილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის თანხა და ამასთანავე, საარბიტრაჟო დავასთან დაკავშირებით გაღებულ ხარჯთა უდიდესი ნაწილი, ჯამში 6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

ნაცვლად საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულების უზრუნველყოფისა, „ფრონტერამ“ წამოიწყო შეცდომაში შემყვანი და სახელმწიფოს იმიჯის დამაზიანებელი საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც, არსებითად მცდარი ინფორმაციის მიწოდების გზით, 2020 წელს ამავე კამპანიაში ჩართო აშშ-ის კონგრესის წევრები - საქართველოს მეგობრები, რომლებიც, დაეყრდნენ რა კომპანიის მიწოდებულ ინფორმაციას, სამართლიანად აღშფოთდნენ ამერიკული ბექგრაუნდის მქონე კომპანიის ინტერესების შელახვითა და მოკავშირე სახელმწიფოს - საქართველოს მოქმედებით. ხსენებული რეაქცია გასაგები და გასაზიარებელი იქნებოდა, რომ არა მათთვის „ფრონტერას“ მიერ მიწოდებულ ცნობათა ყალბი ხასიათი.

საარბიტრაჟო ტრიბუნალმა გაიზიარა ქართული მხარის ხედვა კონტრაქტის ნორმათა ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით და ერთად დაადგინა, რომ ფართობის სახელმწიფოსთვის დაბრუნებაზე უარის თქმით „ფრონტერა“-მ დაარღვია კონტრაქტი, რაც სახელმწიფოს კონტრაქტის შეწყვეტის უფლებას ანიჭებს. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ასევე დააკმაყოფილა შუამდგომლობა და შეწყვიტა წარმოება. საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილება საბოლოოა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, 2020 წლის 27 აპრილს სააგენტომ „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენს“ გადასცა შეტყობინება კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე.

ილია მარტყოფლიშვილი

„ეს ფორმატებიც გამოვიყენეთ იმისათვის, რომ გზავნილები მაქსიმალურად მიგვეტანა პარტნიორებთან“

„ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტის ფარგლებში მქონდა შეხვედრა ევროპელ ლიდერებთან, რამდენიმე პრემიერ-მინისტრთან, შარლ მიშელთან“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს ბუდაპეშტში განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს ფორმატებიც იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ გზავნილები მაქსიმალურად ყოფილიყო მიტანილი პარტნიორებთან.

„სამიტი საინტერესო იყო, მქონდა საშუალება სიტყვით გამოვსულიყავი როგორც თემატურ შეხვედრაზე, სადაც საუბარი იყო ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე, მქონდა სიტყვით გამოსვლის საშუალება დასკვნით პლენარულ სესიაზე, სადაც ვისაუბრე უშუალოდ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ასევე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე. ეს იყო მთავარი განსახილველი თემები. ასევე მქონდა საშუალება, შევხვედროდი ევროპელ ლიდერებს, მქონდა შეხვედრა რამდენიმე პრემიერ- მინისტრთან, შეხვედრა მქონდა შარლ მიშელთან, სადაც ვისაუბრეთ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების საკითხებზე. რა თქმა უნდა, ეს ფორმატებიც გამოვიყენეთ იმისათვის, რომ ჩვენი გზავნილები მაქსიმალურად მიგვეტანა ჩვენს პარტნიორებთან“, - განაცხადა პრემიერმა.

„ოპოზიცია ებრძვის ელექტრონულ აპარატებს, რომელმაც ერთ წამში დათვალა არჩევნების შედეგები“

„ერთადერთი, რასაც ახლა აკეთებს ოპოზიცია არის ის, რომ ისინი ებრძვიან ელექტრონულ აპარატებს, რომელმაც ერთ წამში დათვალა არჩევნების შედეგები ყოველგვარი ხარვეზის გარეშე. რა თქმა უნდა, არავითარი რესურსი აქ წარმატების ოპოზიციას არ აქვს“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ უნგრეთში ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, სახელმწიფო დეპარტამენტმა მოუწოდა სალომე ზურაბიშვილს, ეთანამშრომლა პროკურატურასთან, რაც ნიშნავს საქართველოს პროკურატურასადმი ნდობის გამოცხადებას, მაგრამ ზურაბიშვილმა არ გაითვალისწინა სახელმწიფო დეპარტამენტის ეს მოწოდება, ვინაიდან გამოძიებასთან სათქმელი არაფერი აქვს.

„სახელმწიფო დეპარტამენტმა მოუწოდა სალომე ზურაბიშვილს, ეთანამშრომლა პროკურატურასთან. ეს ნიშნავს ნდობის გამოცხადებას, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა არ გაითვალისწინა სახელმწიფო დეპარტამენტის მოწოდება და არ თანამშრომლობს პროკურატურასთან, იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი აქვს. ოპოზიცია ზოგადად, გაკოტრებულია ყველა კუთხით - არც არგუმენტები აქვთ, თენგოც ვეღარ შველით, არიან აბსოლუტურად გაკოტრებულები. შესაბამისად, ეს არის სალომე ზურაბიშვილის მცდელობა, რაღაცას მიაღწიოს, სკამს ვერ ელევა, თუმცა ორ თვეში გავა მისი უფლებამოსილების ვადა და ამით ყველაფერი დამთავრდება. პირდაპირ მოუწოდა სახელმწიფო დეპარტამენტმა სალომე ზურაბიშვილს ეთანამშრომლა გამოძიებასთან, ბორელმა პირდაპირ თქვა, რომ საუბარი იყო ერთვნულ გამოძიებაზე. საქართველო არის სახელმწიფო და ამ ქვეყანაში გამოძიებას ატარებენ შესაბამისი ორგანოები, ყველა უნდა შეეგუოს საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველო უნდა ვაღიაროთ სახელმწიფოდ და საქართველო თუ არის სახელმწიფო, აქ კონსტიტუციურმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ ყველაფერი. საქართველო არის სახელმწიფო, საქართველო გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, დაახლოებით, 30 წლის წინ და დღემდე არის დამოუკიდებელი ქვეყანა თავისი ინსტიტუტებით და, სხვათა შორის, ბევრად უფრო ძლიერი ინსტიტუტებით, ვიდრე არის სხვა შესაბამის ქვეყნებში. გამოძიება არის აბსოლუტურად გამჭვირვალე, მიიტანონ ფაქტები. იმის გამო, რომ ფაქტები არ აქვთ ვერ ახერხებენ ვერაფრის გაკეთებას“, - განაცხადა პრემიერმა.

ახალი მარშრუტი საქართველოს გავლით - ინდოეთი-ირანი-სომხეთის სატრანსპორტო დერეფნის შექმნას აანონსებენ

„ინდოეთი-ირანი-სომხეთის სავაჭრო-სატრანსპორტო მარშრუტის ჩაშვების საკითხზე, რომელიც საქართველოზეც გაივლის, სამმხრივი შეხვედრა გაიმართება“- ამის შესახებ ირანის ელჩმა სომხეთში, მეჰდი სობჰანიმ ადგილობრივ მედიას განუცხადა, რასაც Sputnik-Armenia ავრცელებს.

„შეთანხმება არსებობს, თუმცა ვადებზე უნდა ვიმუშაოთ,“ - ამბობს ელჩი.

სპარსეთის ყურე-შავი ზღვის სატრანსპორტო მარშრუტი ინდოეთიდან და ყურის ქვეყნებიდან ევროკავშირსა და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრ სახელმწიფოებში საქონლის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს. კერძოდ, ტვირთის მიწოდება ინდოეთის მუმბაის პორტიდან ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩაბაჰარის პორტამდე მოხდება, შემდეგ საავტომობილო ან სარკინიგზო გზით ჯერ სომხეთში, შემდეგ კი საქართველოში გადავა, საიდანაც ბულგარეთის ან საბერძნეთის პორტებში, ანდა რუსეთში საზღვაო პორტების ან ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გავლით შევა.

ელჩ სობჰანის შეფასებით, სპარსეთის ყურე-შავი ზღვის სატრანსპორტო მარშრუტის პროექტის განხორციელებას ამჟამად არაფერი უშლის ხელს. მისი თქმით, ამ სატრანსპორტო დერეფანში სომხეთი განიხილება, როგორც სპარსეთის ყურის შავ ზღვასთან დამაკავშირებელი რგოლი.

Sputnik-Armenia-ს შეფასებით, სომხეთზე გამავალი ეს მარშრუტი მეტად მნიშვნელოვანია ირანისა და ინდოეთისთვის, რომლებიც თავიანთი საქონლის მიწოდების დივერსიფიკაციას ცდილობენ.

ტოპ-5 ქვეყანა, საიდანაც წელს საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი ჩამოვიდა

საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 2024 წლის მე-3 კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.5%-ით გაიზარდა. ამის შესახებ კვლევითი ორგანიზაცია ჩალტ&თაგგარტ-ის ანგარიშშია აღნიშნული.

ამავე ცნობით, წლიურად ტურისტების რიცხვი გაიზარდა 8.3%-ით, ხოლო ერთი დღით ჩამოსული ვიზიტორების რიცხვი 15.2%-ით შემცირდა.

მთლიანობაში, ტურისტების რაოდენობამ 2024 წლის 9 თვეში 4 მილიონს მიაღწია, რაც 2019 წლის 9 თვის მაჩვენებელთან შედარებით 100.1%-ით მეტია. პირველ კვარტალში ზრდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 106.4% იყო. მესამე კვარტალში კი -100.3%, რაც ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, მეორე კვარტლის 95.2%-იან მაჩვენებელს ანაზღაურებს.

ვიზიტორთა ზრდა მე-3 კვარტალში, ძირითადად, არამეზობელი ქვეყნებიდან ვიზიტებით იყო განპირობებული.

ტოპ-5 ქვეყანა, საიდანაც წელს საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი ჩამოვიდა:

რუსეთი;
თურქეთი;
სომხეთი;
ისრაელი;
ყაზახეთი;

აღნიშნული ქვეყნებიდან ჩამოსული ვიზიტორების რიცხვი მთლიანი რაოდენობის 65.6%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ისრაელიდან ვიზიტებმა ყველაზე დიდი ზრდა განიცადა +36.0%, ხოლო თურქეთიდან -+12.5%. ვიზიტორების რიცხვით ჩინეთი, ირანი, ბელარუსი და საუდის არაბეთი გამოირჩეოდნენ, საიდანაც ვიზიტორთა ჯამურმა წილმა 34,4%-შეადგინა.

იმავდროულად, ევროკავშირიდან ვიზიტორთა რიცხვი შემცირდა 1.2%-ით წელიწადში, რაც მთლიანი რაოდენობის 7%-ს შეადგენს.

„ევროინტეგრაცია გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული სამუშაოა და არა იმწუთიერი პოლიტიკური კონიუნქტურის აყოლა“

„გამოქვეყნდა ევროკომისიის გაფართოების ანგარიში, სადაც საუბარია საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე. საერთო შეფასებით, საქართველო პროგრესირებს ევროკავშირში წევრობის გზაზე“, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

როგორც ის აღნიშნავს, ევროკომისიის შეფასებით, 35 თავიდან გასული ერთი წლის მანძილზე საქართველომ კარგი პროგრესი დააფიქსირა 12 თავზე, ხოლო გარკვეული პროგრესი - 13 თავზე.

მისი თქმით, ისინი ყურადღებით შეისწავლიან გაფართოების დოკუმენტს და დაგეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს.

„ჩვენ დადებითად ვაფასებთ ევროკომისიის ანგარიშს. ევროკომისიის შეფასებით, 35 თავიდან გასული ერთი წლის მანძილზე საქართველომ კარგი პროგრესი დააფიქსირა 12 თავზე, ხოლო გარკვეული პროგრესი - 13 თავზე. ეს არის იმის ძალიან მკაფიო დასტური, რომ მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების გამო საქართველოს ჰქონდა შეზღუდული დრო საპარლამენტო საქმიანობისთვის და მიუხედავად ოპოზიციის და ენჯეო სექტორის მუდმივი ობსტრუქციისა, საქართველო დგამდა მნიშვნელოვან ნაბიჯებს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

ხაზგასასმელია, რომ ანგარიშში, 35 თავიდან მხოლოდ ერთი თავის შემთხვევაში, რომელიც მართლმსაჯულებას და ფუნდამენტურ უფლებებს შეეხება, ევროკომისიის შეფასებით არის უკუსვლა. ამასთან, ამგვარი შეფასების ძირითად მიზეზად ანგარიშში ევროკომისია ასახელებს გენდერული კვოტირების გაუქმებას, გამჭვირვალობის კანონის და ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ კანონის მიღებას და ლგბტ პრაიდის ვერჩატარებას.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ თავში ჩვენი შეფასება თანაბარია უკრაინას და მოლდოვას შეფასებისა, ხოლო „ფუნდამენტურ საკითხთა ჯგუფში“, რომელშიც ეს თავი შედის, საქართველო უკრაინასაც უსწრებს და მოლდოვასაც.

ის, რომ გამჭვირვალობის და ლგბტ-პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართულ კანონებზე, ამ ეტაპზე, საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთთანხმობა არ აქვს, ეს ჩვენი საზოგადოებისთვის სიახლე არ არის. ეს კანონები არჩევნებზეც ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იყო, რაზეც ჩვენმა საზოგადოებამ თავისი პოზიცია მკაფიოდ დააფიქსირა. ჩვენ გავაგრძელებთ ამ საკითხებზე ევროკავშირთან საუბარს საქართველოს მოქალაქეების ამ პოზიციის გათვალისწინებით.

გარდა ფუნდამენტური მიმართულებისა, საქართველო უკრაინასა და მოლდოვას უსწრებს შიდა ბაზრისა და კონკურენტუნარიანობის ჯგუფების საერთო შეფასებაშიც, რაც არის ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის მთავარი არსი. სწორედ ამ საკითხების ირგვლივ შეიქმნა თავის დროზე ევროკავშირი და სწორედ ამიტომ არის ევროკავშირი ბევრისთვის მიმზიდველი.

ამრიგად, საერთო შეფასების გათვალისწინებით,საქართველო კვლავ სოლიდურად უსწრებს მოლდოვას, ხოლო უკრაინას მხოლოდ სამ ჯგუფში - საგარეო ურთიერთობები, მწვანე დღის წესრიგი და რესურსები - ჩამორჩება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ კიდევ უფრო დიდი უპირატესობით ვუსწრებთ ბოსნია და ჰერცეგოვინას, რომელთანაც ასევე დაწყებულია გაწევრიანების მოლაპარაკებები.

სწორედ ეს 35 თავია ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების, ანუ საქართველოს ევროპული გზა. ეს არის დინამიური, საქმიანი, ექსპერტული პროცესი, რომელშიც საქართველო 2014 წლიდან ერთგულად, გეგმაზომიერად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ.

ამავე დროს, ევროკავშირის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან ვხედავთ ამ პროცესის უკიდურესად პოლიტიზების მცდელობას. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ამგვარი წინდაუხედავი მიდგომა ევროინტეგრაციას თანამშრომლობის ინსტრუმენტიდან პოლიტიკურ იარაღად აქცევს, რაც, სამწუხაროდ, საბოლოო ჯამში, თავად ევროინტეგრაციის პროცესს და ევროკავშირის რეპუტაციას აზიანებს.

აქვე, მინდა, შევეხო ბოლო პერიოდში ხშირად გამოყენებულ ტერმინს „ევროინტეგრაციის შეჩერება“. თავად ის ფაქტი, რომ ევროკომისიამ გაფართოების დოკუმენტზე იმუშავა, საქართველოს პროგრესი შეაფასა და რეკომენდაციები მოგვცა, მეტყველებს იმაზე, რომ ეს ტერმინი უფრო პოლიტიკური განცხადებაა, ვიდრე ინსტიტუციური მდგომარეობა. როგორც ევროკავშირი აგრძელებს საქართველოს შეფასებას, ისევე ვაგრძელებთ ჩვენც ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობას. სწორედ ეს არის ევროინტეგრაცია. ის არც შეჩერებულა და ვერც შეჩერდება. თუკი რამე გვასწავლა ჩვენმა მიღწევებმა ამ პროცესში, არის ის, რომ ევროინტეგრაცია გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული სამუშაოა და არა იმწუთიერი პოლიტიკური კონიუნქტურის აყოლა.

საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობამ ძალიან გასაგებად გააკეთა არჩევანი, ევროინტეგრაციის პროცესზე, ოპოზიციის ისტერიულ პოლიტიკასა და ქართული ოცნების საქმიან, კონსტრუქციულ, ქართველი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით წარმოებულ პოლიტიკას შორის. ჩვენ უკვე შესრულებული გვაქვს ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი და 2028 წლისთვის მის 90%-ს შევასრულებთ, რითაც არსებითად მივუახლოვდებით ევროკავშირის წევრობას.

ჩვენ ყურადღებით შევისწავლით გაფართოების დოკუმენტს და დავგეგმავთ სამომავლო ნაბიჯებს, ქართველი ფერმერების, მეწარმეების, ჩვენი მოქალაქეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველო ბოლო წლების განმავლობაში მჭიდროდ თანამშრომლობდა ევროკომისიასთან თითოეული სფეროს ანალიზის პროცესში და მომავალშიც ჩვენ მზად ვართ, ამავე მიზნით აქტიურად ვითანამშრომლოთ ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებთან,“ - წერს პარლამენტის თავმჯდომარე.

ახალი რეკორდის მოლოდინში - Galt&Taggart-ის პროგნოზით, საქართველო ტურიზმიდან 4.4 მლრდ-ის შემოსავალს მიიღებს

„2024 წლის ბოლოს საქართველოს მიერ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 4.4 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს“, - ამის შესახებ აღნიშნულია „გალთ ენდ თაგარტი“ მიმოხილვაში.

ცნობისთვის, გასულ წელს საქართველომ ტურიზმიდან 4.1 მლრდ აშშ დოლარის შემოსავლები მიიღო, რაც რეკორდული მაჩვენებელია. იმ შემთხვევაში თუ პროგნოზი გამართლდა, გამოდის, რომ ტურიზმის შემოსავლები წელს 7.3%-ით გაიზრდება და ახალი რეკორდული ნიშნულიც მიიღწევა.

„აზიის ქვეყნებიდან ტურისტების რაოდენობის ძლიერი ზრდა, პირდაპირი ფრენების ზრდასთან ერთად, 2024 წლისთვის ტურიზმიდან შემოსავლების მდგრად ზრდაზე მიუთითებს,“ - ვკითხულობთ კვლევაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2024 წლის პირველ სამ კვარტალში საქართველომ ტურიზმიდან რეკორდულად ბევრი, 1.6 მლრდ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც წლიურად 8%-იან ზრდაზე მიანიშნებს.

სექტორში შემოსავლების ზრდის მთავარი წყარო იყო რუსეთი (295 მილიონი დოლარი), ევროკავშირის ქვეყნები (210 მლნ დოლარი), ისრაელი (147 მლნ დოლარი)და საუდის არაბეთი (75.5 მლნ დოლარი).

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყო

ქ.დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩაზე არსებული კორპუსების ფასადების (ე. წ. მიკრორაიონი) რეაბილიტაცია დაიწყო.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, სოლომონ ღორაშვილთან ერთად დაათვალიერა.

მერიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულება 2 533 000 ლარია და მას რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს.

მიკრორაიონის ადგილობრივ მაცხოვრებლებს პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიმდინარე წლის სექტემბერში წარუდგინა.

ე.წ. „მიკრორაიონის“ ხუთივე კორპუსის ფასადების რეაბილიტაცია მომავალი წლის ზაფხულში დასრულდება. სარემონტო სამუშაოებს კომპანია შპს „რეგილდი“ ახორციელებს.

სამ სკოლაში ავტორიზაციის პროცესი მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებში სკოლების ავტორიზაციის პროცესი გრძელდება. გასულ სასწავლო წელს ავტორიზაცია უკვე მოიპოვეს ქ. დედოფლისწყაროს მეორე და სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლებმა. დანარჩენი დაწესებულებები კი პროცესს ეტაპობრივად გაივლიან.

ავტორიზაცია — საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურაა, რომლის ფარგლებშიც მოწმდება დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესაბამისობა სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ამჟამად ავტორიზაციის პროცესს კიდევ სამი სკოლა გადის, რომლებიც დასრულების ეტაპზე იმყოფებიან. რესურსცენტრის ხელმძღვანელის, **მაკა ჯანაშვილის** ინფორმაციით, ავტორიზაციას გადიან ზემო მაჩხაანის, არხილოსკალოსა და ზემო ქედის №2 საჯარო სკოლები.

„უნდა ითქვას, რომ ეს სკოლები ფაქტობრივად უკვე დასკვნით ეტაპზე არიან გასულები. მხოლოდ კურიკულუმების ნაწილშია მონიტორინგი დარჩენილი. ყველა სხვა დადგენილი სტანდარტი სამივე სკოლის შემთხვევაში შესაბამისობაშია და პრობლემები არ ყოფილა.“ — აღნიშნავს მაკა ჯანაშვილი.

გაზეთი „შირაქი“ იმ სკოლების ადმინისტრაციას ესაუბრა, სადაც ავტორიზაციის პროცესი ახლა მიმდინარეობს და მათი შეფასებებით დაინტერესდა.

მაია სიმონიძე *(არხილოსკალოს სკოლის დირექტორი):* „მარტის თვიდან დავიწყეთ ავტორიზაციისთვის მზადება, განაცხადის შესავსებად საკმაოდ ცოტა დრო გვქონდა. სკოლას საკმაოდ გამოცდილი მასწავლებლები ჰყავს და დიდი პრაქტიკა აქვს. 1930 წლიდან დაარსებული სკოლაა, ჯერ დაწყებითი სკოლა

იყო, შემდეგ ნელნელა საბაზო და საშუალო სკოლა გახდა. ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩვენთან სექტემბერში ჩატარდა. ჩვენი ინფრასტრუქტურა ბოლომდე არ აკმაყოფილებს სტანდარტს, შენობა სარემონტოა, ლიფტებია გასაკეთებელი. სასწავლო პროგრამები და ადმინისტრაციის მუშაობა ყველაფერი დადებითად შეფასდა და მოგვანიჭეს ავტორიზაცია. რა თქმა უნდა, იყო სირთულეები. ერთ—ერთი ის იყო, რომ განაცხადი დროულად შეგვევსო და გამართული ყოფილიყო. გვინდოდა ყველაფერი აგვესახა, რასაც სხვადასხვა საფეხურზე ვაკეთებთ. მიხარია, რომ ყველაფერს წარმატებით გავართვით თავი. რა თქმა უნდა, ეს პედკოლექტივის დამსახურებაა. მასწავლებლები ძალიან გვერდით მედგნენ და დიდი როლი აქვთ ამ შედეგში. იმედი გვაქვს, მომავალში ინფრასტრუქტურაც მოწესრიგდება. ავტორიზაციის მინიჭება არაფერს ცვლის, ჩვეულებრივ გაგრძელდება სასწავლო პროცესი და იქნება ახალ-ახალი პროგრამები. სკოლა ცოცხალი ორგანიზმია და ყოველთვის ვცდილობთ სიახლეები ავითვისოთ, თანამედროვე მეთოდები დავნერგოთ და ისე მივაწოდოთ მოსწავლეებს. გვყავს 2 წამყვანი მასწავლებელი, 18 უფროსი მასწავლებელი. იმედი გვაქვს, მომავალი 9 წლის განმავლობაში სანამ ავტორიზაციის ვადა ამოიწურება, კიდევ ბევრ წარმატებას მივაღწევთ. მინდა გითხრათ, რომ არხილოსკალოს სკოლაში ინერგება პროფესიული განათლება. ამისათვის კოლეჯ „აისთან“ გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულება და მოკლევადიანი ორი პროგრამის კურსი უკვე ტარდება. კომპიუტერული ტექნოლოგიები სამთვიანი კურსია და უფროსკლასელები კოლეჯის სერთიფიკატს მიიღებენ. გასულ წელს უკვე აიღეს სერთიფიკატი მეორე პროგრამაში: „ბოსტნეული კულტურების მოყვანა ღია და დახურულ გრუნტში“. იმედი გვაქვს კოლეჯის ავტორიზაციასაც გავივლით. მთავარი ამოცანაა ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდეს და ეს მალე მოხდეს. საბოლოო ჯამში კმაყოფილი ვართ იმ შედეგით, რითიც წარვსდექით კომისიის წინაშე.“

ხათუნა მაძღარაშვილი *(ზემო მაჩხაანის სკოლის დირექტორი):* „5 თვეა ეს პროცესი მიმდინარეობს ჩვენს სკოლაში. ივნისიდან დავიწყეთ და ამ დრომდე არ დასრულებულა. 9-10 სექტემბერს ექსპერტები იყვნენ ჩამოსული და ადგილზე იმუშავეს. რამდენიმე დღეა მივიღე მათი დასკვნა, პატარა მითითებები გვაქვს, რომელიც 10 დღის ვადაში უნდა გამოვასწოროთ. მშვენიერი ინფრასტრუქტურა გვაქვს, ამ მხრივ შენიშვნები არ არის. თუმცა, სკოლის ახალი შენობა ჯერ ექსპლოატაციაში მიღებული არ არის, ამისათვის გვაქვს დრო, რომ ჩაგვბარდეს. სხვა მხრივ, მათი საბოლოო გადაწყვეტილება ჩვენთვის ჯერ ცნობილი არ არის. ველოდებით პასუხს და სულ მალე გახდება ცნობილი, გაიარა თუ არა ზემო მაჩხაანის სკოლამ ავტორიზაცია,“

სკოლების ავტორიზაციის პროცესი საქართველოში 2026 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა, ვადის 2030—წლამდე გახანგრძლივება გახდა საჭირო.

ილია მარტყოფლიშვილი

უკვე მეორედ...

საბათლო საზღვრისპირა პატარა სოფელია კახეთის უკიდურეს აღმოსავლეთში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, თანამედროვე ლამაზი სკოლითა და საბავშვო ბაღით. საბათლოელ მოსწავლეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი კარგი სწავლისთვის, თუმცა, ბავშვის განვითარებისთვის მარტო სწავლაც ხომ არ კმარა.

სამწუხაროდ, რაიონული ცენტრიდან 70 კილომეტრით დაშორებულ სოფელში აქამდე არ ფუნქციონირებდა არც ერთი მხატვრული წრე, სადაც ბავშვები დაკავდებოდნენ. და აი, გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, ანსამბლ „კავკასიონის“ ხელმძღვანელები, მამაშვილი **ზაზა და თორნიკე პავლიაშვილები.** ისინი ათეულ კილომეტრს გადიან, რათა აქაური ბავშვები თან ააცეკვონ და თან გაულამაზონ ერთფეროვანი ყოფა. დამეთანხმებით, ამით ძალიან დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებენ, რაც ნამდვილად დასაფასებელია.

საბათლოს ძირითადი მოსახლეობა სომხურენოვანია, თუმცა, სომეხი ბავშვები ტოლს არ უდებენ ქართველ თანატოლებს ქართული ცეკვების შესწავლაში. ანსამბლ „კავკასიონთან“ არსებული ეს სტუდია ჯერ ერთი წლისაც არ არის, მაგრამ მისმა წევრებმა, პროფესიონალი პედაგოგების დამსახურებით, უკვე შეიგრძნეს სცენის მაგიური ძალა.

პირველი „ნათლობა“ თბილისში, პროფკავშირების სასახლეში გამართულ კონცერტზე მიიღეს ამა წლის 25 მაისს. მაშინ წილად ხვდათ პატივი პირველები გამოსულიყვნენ მაყურებლის წინაშე. დიდმა სცენამ არათუ დააბნია, პირიქით, მეტი გამბედაობა და გამარჯვების ჟინი შემატა ერთ მუშტად შეკრულ ანსამბლს. ცეკვა „ქალაქური“ იმდენად კარგად შეასრულეს, ზაზა მასწავლებელს სიხარულის ცრემლები მოჰგვარეს, მაყურებლს კი - დიდი სიამოვნება.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ანსამბლის ყველაზე პატარა წევრების მიერ თავზე შემოდგმული ბოთლებით ოსტატურად ნაცეკვმა. მაშინ ორ-ორი დიპლომი ჩამოიტანეს სოფელში: საერთაშორისო სატელევიზიო საქველმოქმედო ფესტივალზე – „იმედის მოციმციმე ვარსკვლავები“ - აქტიური მონაწილეობისთვის და ფოლკლორის ფესტივალზე საუკეთესო შესრულებისთვის. დიპლომი მათმა სკოლამაც მიიღო.

12 ოქტომბერს მცხეთის კულტურის სასახლეში მეორედ წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. აჭარულ ჰანგებზე აცეკვებული სომეხი ეროვნების ბავშვების მონდომება და მოხერხება არც ახლა დარჩა შეუმჩნეველი. მესამე ადგილზე გასულებმა კვლავ მედლები და დიპლომები აიხუტეს გულზე, თანაც სტუდიის მოცეკვავეები და მათი მასწავლებლები ერევანში მიიწვიეს საერთაშორისო ფესტივალზე.

აი, ჩვენი ყოჩაღები:

სტელა და სილვა ჩარქანდიანები, ალექსი და ანა კოსიაშვილები, გიორგი ყიყიშვილი, დაჩი ტეკოევი, არმენ ოგანიანი, ავრორა პეტროსიანი, სონა აღაჯანიანი, რობერტ და სუსანა ერემიანები.

წარმატებები ვუსურვოთ მომავალშიც ახალფეხადგმულ ანსამბლს!

მანანა თარაშვილი

ჰაერში გაშვებული შხამი!

არ დაწვა ფოთოლი!

შემოდგომა წელიწადის ულამაზესი დროა. ხეების ნაირფერი შეფერილობა ულამაზეს პეიზაჟს გვიხატავს. მაგრამ მის სილამაზეს ხშირად აფერმკრთალებს შემოდგომის საღამოები. მეზობლის ეზოდან ამოსული კვამლი, რომელიც სუდარასავით ეფარება ატმოსფეროს ქვედა ფენას და დაუკითხავად იჭრება ჩვენს სასუნთქ ორგანოებში.

ხშირად შეხვდებით ეზოებში ცეცხლმოკიდებული ფოთლების გროვას. მოსახლეობა ამ გზით ეზოებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს ფოთლებისგან ათავისუფლებს. მათი ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ თუკი ფოთლებს საკუთარი სახლის ეზოში დაწვავს, ამით არაფერი დაშავდება. ბევრი არ ფიქრობს იმაზე, რომ ჰაერში უსიამოვნო სუნთან ერთად შხამსაც უშვებს, რომელიც გარემოზეც და ჩვენს ჯანმრთელობაზეც ნეგატიურად აისახება.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის კოორდინატორი კახეთის რეგიონში, კახა სუხიტაშვილი, გვიხსნის, რომ მცენარეების, ფოთლების დაწვისას კანცეროგენული ნივთიერებები გამოიყოფა, რომელიც ჯერ ჰაერში ხვდება, შემდეგ კი წვიმის გზით - ნიადაგში. შესაბამისად, ბინძურდება ჰაერიც და ნიადაგიც. სუხიტაშვილი ამბობს, რომ შესაძლოა ამ საფრთხის შესახებ ბევრმა არაფერი იცის, თუმცა ვინც იცის, არც ის იცავს გარემოს.

ნარჩენების მართვის კოდექსით, ფოთლების დაწვა, თუნდაც საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში, 200-დან 500 ლარამდე დაჯარიმებას ითვალისწინებს, თუმცა პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეს სანქცია პრობლემას სრულად ვერ აგვარებს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წელს, მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენის ღია წესით დაწვის 149 ფაქტი გამოვლინდა. შესაბამისი მონაცემები BMG-მ უწყებიდან გამოითხოვა.

საქმე ის გახლავთ, რომ ნარჩენის ღია წესით დაწვა კანონით აკრძალულია და დაჯარიმებას ითვალისწინებს. კერძოდ, ფოთლების, ბაღის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღია წესით დაწვაზე ჯარიმა 500 ლარია. ზედამხედველობის დეპარტამენტის მონაცემებით, ამ მიმართულებით წელს 89 დარღვევა გამოვლინდა. ხოლო საბურავის, რეზინისა და სხვა ელასტომერული მასალის ღია წესით დაწვის შემთხვევაში გათვალისწინებული 1 500 ლარიანი ჯარიმა 60 ფაქტზე გამოიწერა.

ყველაზე მეტი 500-ლარიანი ჯარიმა აჭარასა (29) და კახეთში (17) გამოიწერა. 1500-ლარიანი კი ქვემო ქართლსა (16) და თბილისში (16).

რაც შეეხება გასული წლის სტატისტიკას, 2023 წელს ჯამურად, ფოთლების, ბაღის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღია წესით დაწვის 223 ფაქტი გამოვლინდა. საბურავის, რეზინისა და სხვა ელასტომერული მასალის დაწვის კი – 120 ფაქტი.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

როგორ დავიცვათ ფილტვები ქალაქის სმოგისგან და მტვრისგან

ტრანსპორტით გადატვირთულ ქალაქში ჰაერი ხშირადაა დაბინძურებული. ჩვენი სასუნთქი სისტემა თავად უმკლავდება დაბინძურებულ ჰაერს, მაგრამ ზოგჯერ მას დახმარება სჭირდება.

საფეხურები:

შეამცირეთ სიარული. ჰაერის დაბინძურების პერიოდში უმჯობესია არ გახვიდეთ გარეთ, გარდა აუცილებლობისა. ეს განსაკუთრებით ეხება დილის საათებს. დილით სმოგის კონცენტრაცია უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ დროს.

დალიეთ წყალი და არა ალკოჰოლი

წყალი ხელს შეუწყობს ორგანიზმში მარილის ბალანსის აღდგენას და დეჰიდრატაციის შეჩერებას. ასევე, შესაფერისია მწვანე ჩაი ან ხილის სასმელები. ალკოჰოლი და სოდა, პირიქით, წაგართმევთ სითხეს.

იკვებეთ სწორად

უმჯობესია უარი თქვათ მძიმე ცხიმოვან საკვებზე, მისი მონელება ორგანიზმს დიდ ძალას ართმევს, რაც მას შეეძლო მავნე ნივთიერებების გადასამუშავებლად. აირჩიეთ ადვილად მოსანელებელი საკვები, მიირთვით ბოსტნეული და ხილი. ბოჭკოვანი და ანტიოქსიდანტებით მდიდარი საკვები დაგეხმარებათ ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნაში.

არ მოწიოთ

სიგარეტის კვამლი ორმაგ დატვირთვას აძლევს სხეულის ბუნებრივ ფილტრებს. უფრო მეტიც, არ უნდა მოწიოთ შენობაში და ეს რჩევა უნდა გაითვალისწინოთ არა მხოლოდ მოწევის პერიოდში, არამედ ყოველთვის.

არ გააღიზიანოთ სასუნთქი სისტემა

უმჯობესია არ გამოიყენოთ სპრეი და აეროზოლი, ძლიერი სუნის ლაქები და საღებავები, სანამ ჰაერი სუფთა არ გახდება.

გამოირეცხეთ ცხვირი

წვის პროდუქტები ხვდება ცხვირ-ხახაში, ამიტომ სასარგებლოა ცხვირ-ხახის გამორეცხვა მარილიანი ან ზღვის წყლით. აფთიაქებში იყიდება სპეციალური სპრეი.

გამოიყენეთ ნილაბი

მაქსიმალური კვამლის პერიოდში, უმჯობესია გამოიყენოთ რესპირატორი, რომელიც შექმნილია მტვრის, კვამლის, სმოგის, ნახშირბადის მონოქსიდისგან დასაცავად. რესპირატორული ორგანოები ასევე შეიძლება დაიცვათ ნესტიანი მარლის ბინტით.

უარი თქვით ფიზიკურ აქტივობაზე

ვარჯიშის დროს იძულებულები ხართ სწრაფად ისუნთქოთ, ამიტომ ფილტვებში მეტი მავნე ნივთიერება შედის. ასეთ დროს უნდა შეწყვიტოთ ვარჯიშის პროცესი.

გამორთეთ კონდიციონერი

ყველა გაგრილების სისტემა არ არის შესაფერისი სმოგის პერიოდისთვის. თუ კონდიციონერი ჰაერს ქუჩიდან იღებს, მასში სპეციალური ფილტრი უნდა დამონტაჟდეს. თუ არა, მაშინ მოწყობილობა არ უნდა გამოიყენოთ.

დაატენიანეთ შიდა ჰაერი

გამოიყენეთ დამატენიანებელი ან მინიმუმ სპრეის ბოთლი. ამის გამო, მტვერი უფრო სწრაფად იშლება ზედაპირებზე, საიდანაც მისი გაწმენდა ადვილი იქნება სველი ქსოვილით.

შენიშვნა:

სმოგი (ინგლ. შმოგ) – ჰაერის დაბინძურების ტიპი; შავი სქელი ნისლი, რომელიც წარმოიქმნება ბოლისა და ჭვარტლისაგან დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში.

რა უნდა გააკეთოთ, თუ ტყეში დაიკარგეთ?

სხვადასხვა სეზონზე ბევრი მიდის ტყეში. ზოგი სოკოს საკრეფად, ზოგი - კენკრის, ზოგიც - უბრალოდ სასეირნოდ. სხვათა შორის, ტყეში ძალიან ადვილია დაკარგვა.

შეინახეთ ეს რჩევები იმ შემთხვევისთვის, თუ ტყეში გზა აგებნევათ.

საფეხურები:

თავი დაიცავით, სანამ დაიკარგებით: ტყეში წასვლამდე დარწმუნდით, რომ მინიმუმ ერთმა ადამიანმა იცის, სად მიდიხართ და როდის აპირებთ დაბრუნებას. ნუ დაიზარებთ, რომ გაიყოლოთ სასარგებლო ნივთების მინიმალური ნაკრები: თბილი ქურთუკი, დანა, სანთებელა, წყლის ბოთლი. გადმოწერეთ რუკის ფოტო თქვენს სმარტფონში და ბოლომდე დატენეთ ის.

შეინარჩუნეთ სიმშვიდე. დაკარგული ადამიანის მთავარი მტერი არის პანიკა. თუ დაპანიკდებით და უაზროდ დაიწყებთ ტყეში ბოდიალს, თქვენ არა მარტო დაიკარგებით, არამედ შეიძლება დაზარალდეთ, სადმე ჩავარდეთ ან ტოტებით დაიკაწროთ. შეეცადეთ, იყოთ მშვიდი, ღრმად ჩაისუნთქოთ ან დაიმშვიდოთ თავი ნებისმიერი გზით.

თუ დარწმუნებული ხართ, რომ მოგაკითხავენ და წინასწარ გააფრთხილეთ თქვენი ახლობლები, სად წახვედით, უმჯობესია დარჩეთ ადგილზე. მაშველები მოგძებნიან იქ, სადაც თქვენი მეგობრები ან ოჯახის წევრები ეტყვიან და, სავარაუდოდ, გიპოვიან. თუ ტყეში წახვედით ისე, რომ არავისთვის არაფერი გითქვამთ, მაშინ, პირველ რიგში, ძალიან არასწორად მოიქეცით და მეორე რიგში, თავად მოგიწევთ გზის პოვნა.

შეეცადეთ განსაზღვროთ მიმართულება, მაგალითად, საათის საშუალებით. თუ საათის ისარს მზისკენ მიმართავთ, ხოლო მის და რიცხვ 1-ის მიერ წარმოქმნილ კუთხეს შუაზე გაყოფთ, გაყოფის ხაზი ყოველთვის მიუთითებს სამხრეთისკენ. თუ საათი არ გაქვთ, იხელმძღვანელეთ მზის ადგილმდებარეობით, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, დასავლეთისკენ ჩადის და აღმოსავლეთიდან ამოდის.

მდინარეები: თუ იპოვეთ მდინარე, მაშინ იმოძრავეთ დინების მიმართულებით, ქვემოთ. დაბლა, სავარაუდოდ, იქნება უფრო დიდი მდინარე, რომლის ნაპირებთან შეიძლება იყოს ხალხი.

მოუსმინეთ: შეიძლება გაიგოთ რკინიგზის ან საავტომობილო გზის ხმა. შემდეგ შეგიძლიათ ამ ხმის მიმართულებით წასვლა.

არ შეხვიდეთ ღრმად ტყეში, არ შეეცადოთ მოჭრათ გზა ჭაობით, იარეთ ბილიკებით ან გაკვალული გზებით. იარეთ იქ, სადაც მოსახერხებელია სიარული. სჯობს ზედმეტი კილომეტრები გაიაროთ, ვიდრე ფეხი დაგიცდეთ ხევში ან დაიხრჩოთ მდინარეში.

თუ თქვენ აირჩიეთ მიმართულება, დაიცავით ის, არ შეცვალოთ მარშრუტი. თუ გადაუხვევთ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ და კვლავ მარცხნივ, ისევ იმავე ადგილას მოხვდებით.

იფიქრეთ ყოფით საკითხებზე. შეეცადეთ, თბილად ჩაიცვათ. თუ ტანსაცმელი არ გაქვთ, გამოიყენეთ ყველაფერი, რაც გაგათბობთ. მაგალითად, პოლიეთილენის პარკი. ის კარგად დაზოგავს სითბოს. აადუღეთ წყალი, წყურვილი ტყეში სიკვდილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. გახსოვდეთ ცვარი, ის შეგიძლიათ მოაგროვოთ ნებისმიერი გლუვი ზედაპირიდან.

მაშინაც კი, თუ ნამდვილად მოგშივათ, არ ჭამოთ უცხო კენკრა და სოკო, თუ ცნობა არ იცით. ჯობს ტყეში მშიერი იყოთ, ვიდრე მოწამლული. გახსოვდეთ, ტყეში ყველაზე ნოყიერი საკვები სოკოა. უმჯობესია, წვრილად დაჭრილი მოხარშოთ ორ წყალში. თუ ჭურჭელი არ გაქვთ, შეგიძლიათ გამოიყენოთ კონსერვის თუნუქის ქილა.

წინასწარ მოამზადეთ ღამის გასათევი ადგილი. უმჯობესია, ამის გაკეთება დაბნელებამდე მოასწროთ. სცადეთ ბუჩქებისგან გააკეთოთ ქოხი და თუ გაქვთ პოლიეთილენის პარკი, ზემოდან დააფარეთ.

მაშინაც კი, თუ ღამით მატარებლის ან მანქანის ხმა გესმით, არ იჩქაროთ მისკენ წასვლა, ღამით ეს შეიძლება საშიში იყოს. მონიშნეთ მარშრუტი და გამთენიისას იარეთ.

შეეცადეთ, ცეცხლი დაანთოთ. თუ ასანთი არ არის, გამოიყენეთ საათის მინა.

წალკოტის ბინადარნი

იგავ-არაკი

ერთი ლამაზი ქვეყნის წალკოტის ორი მობინადრე ტოტზე შემომჯდარიყვნენ, ტკბებოდნენ მისი ხილვით და თან საუბრობდნენ.

– ყოველ წალკოტს ღირსეული ნადირ-ფრინველი ამშვენებს და უღირსნი კი არცხვენენ.

– ეჰ, გამონაკლისს არც ჩვენი წალკოტი შეადგენს, უთხრა მეორე მოლაღურმა. ავიწყდებათ, რომ მხოლოდ ფერთა, სიუხვე, სიჭრელე და უგემოვნო ხმაური წალკოტის საკმაოდ არ კმარა. მთავარი ღირსებაა, კუთხე-კუნჭულს უნდა სწვდებოდეს ზრდილობა, პატიოსნება და ძმური ურთიერთობა.

– კმარა შენი მორალი, თავი ნუ მომაბეზრე.

– რით მოგაბეზრე თავი, განა ტყუილს ვამბობ? ღირსება ტიტულებით და ღირსების ორდენებით არ იზომება-იგი შრომით განისაზღვრება. აი, ჩვენი ჩიტბატონა პატარაა, მაგრამ მშრომელია, აი, იმ შაშვს და ბულბულს, ხომ ხელოვნებაში ტოლი არა ჰყავთ, რამდენიც გინდა იდაოს იმ კარიერისტმა ყვავმა, მაინც ვერ აჯობებს მათ თავისი ჩხავილით. აი, თხუნელა ბარსა და გუთანს კვესავს მიწას უნდა შეეჭიდოს თხრის და თხრის.

– მომშორდი სადამდე უნდა იყბედო, შენი სიბრძნის მარცვალიც არ ჩადის თავში.

– კარგი ძმობილო, ბრძენი სხვას უსმენს და სხვაზე მეტიც იმიტომ იცის, ეს ზრდილობის საქმეა. არ გინდა მოსმენა? არ გაგაჩნია მოსმენის კულტურა? მშვიდობით ბრძანდებოდე და გაფრინდა.

დალი ფიროსმანაშვილი

უსაფუძვლო საჩივრები არ დაკმაყოფილდა

31 ოქტომბერს საჩივრების განხილვა დასრულდა დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიაში. 2—3 ნოემბერს კი სიღნაღის სასამართლო განიხილავდა არასამთავრობოების სარჩელებს, რომლებიც დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებს ასაჩივრებდნენ და მათი სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ბათილად ცნობას ითხოვდნენ. 7 ნოემბერს ეს მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომაც არ დააკმაყოფილა

ბოლო მონაცემებით დედოფლისწყაროში 27 საჩივარი დაფიქსირდა, საიდანაც 17 არ დაკმაყოფილდა, ხუთს შესაბამისი პასუხი გაეცა, 4 განუხილველად დატოვეს და ერთიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

პირველ რიგში განვიხილოთ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული საჩივარი. ნაცმოძრაობის წარმომადგენელი მეგი ბენაშვილი წერს, რომ დედოფლისწყაროს №14-ე უბანზე დაიწერა საჩივარი, თუმცა თავმჯდომარემ არ მიიღო. საოლქო საარჩევნო კომისიამ 30 ოქტომბერს განიხილა ეს საჩივარი. ახსნა განმარტება ჩამოერთვა უბნის თავმჯდომარეს **ლეილა აფციაურს**. მან განმარტა, რომ საჩივარი მიიღო მდივანმა, შეიტანა ჩანაწერთა წიგნში და გასცა ცნობა. ასევე აღინიშნა, რომ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელის **თამაზ კოჭლამაზაშვილის** მხრიდან ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომელიც არ იძლეოდა მშვიდ გარემოში მუშაობის საშუალებას. ახსნა-განმარტება ასევე ჩამოერთვა უბნის მდივანს **ნათია ნათაძეს**, მან განმარტა, რომ საჩივარი მართლაც შემოვიდა, თუმცა კოჭლამაზაშვილის მხრიდან ადგილი ჰქონდა ზეწოლას და აღელვების ნიადაგზე გამორჩა საჩივრის გატარება სარეგისტრაციო ჟურნალში. თავმჯდომარის მხრიდან მითითება არ ყოფილა საჩივრის არ მიღების თაობაზე.

საარჩევნო კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, კომისიის წევრის გადაცდომისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი ზომები, ქმედების სიმძიმიდან გამომდინარე. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კომისიის მდივანს ნათია ნათაძეს მუშაობა სტრესულ გარემოში უწევდა და შეცდომა აღელვების ნიადაგზე დაუშვა. ამიტომ, დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის 30 ოქტომბრის განკარგულებაში ნათქვამია, რომ საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კომისიის მდივანს ნათია ნათაძეს გამოეცხადოს შენიშვნა.

ამას გარდა, კენჭისყრის შედეგების ბათილობის მოთხოვნით „საქართველოს მომავლის აკადემია“ უბნების შედეგების გაბათილებას ითხოვდა.

„ქ. დედოფლისწყაროს 1-2-3-4 და 11-ე ხორნაბუჯის, 14-ე ზემო ქედის სკოლის უბნებზე მნიშვნელოვანი დარღვევები, რის გამოც შედეგების ბათილად ცნობის საფუძველია. საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის 2-3 ნაწილის შესაბამისად ვითხოვთ უბნები ბათილად იქნეს ცნობილი და დადგეს კომისიის შესაბამისი წევრების პასუხისმგებლობა.

პირველი უბანი— „საქართველოს მომავლის აკადემია“-ს დამკვირვებელმა ლალი ნოზაძემ დააფიქსირა, რომ ამომრჩეველს კონვერტში ჰქონდა ორი ბიულეტენი. ამავე უბანზე მეორედაც დაფიქსირდა ორი ბიულეტენის გაცემა, დაიწერა საჩივარი, თუმცა რეაგირება არ მოჰყოლია.

● უბანზე ვერიფიკაციის აპარატები კედელთან ახლოს იყო განთავსებული, დამკვირვებლები ვერ ახერხებდნენ თვალყურის დევნებას. კომისიის თავმჯდომარე დამკვირვებლებს უკრძალავდა რეგისტრატორებთან მიახლოებას და ითხოვდა 3 მეტრიანი დისტანციის დაცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში უბნიდან გაძევებით იმუქრებოდა.

● ამავე უბანზე ადგილი ჰქონდა ფარულობის პრინციპის დარღვევას. ბიულეტენს უკანა მხრიდან ეტყობოდა გაფერადებული წრე. კომისიის წევრები ამომრჩეველს ხშირად ეხმარებოდნენ ბიულეტენის ხმის მთვლელ აპარატში მოთავსებაში, რა დროსაც მათთვის ხილული იყო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანი.

მეორე უბანი — საქართველოს მომავლის აკადემიის დამკვირვებელი ლუკა წულაიას მიერ დაფიქსირდა, რომ თავმჯდომარემ უარი თქვა სარეგისტრაციო მაგიდების 5-10 სანტიმეტრით გაწევაზე. თავმჯდომარე დამკვირვებლებს უკრძალავდა რეგისტრატორებთან და სიებთან მიახლოებას. მაგიდები კი კედელთან იყო მიდგმული. დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნშიც, თუმცა უშედეგოდ.

● ცესკოს მიერ მოწოდებულ 5 დალუქულ პაკეტში, სადაც უნდა ყოფილიყო 50 ბიულეტენი, მოთავსებული იყო 51 ბიულეტენი. ასევე, რეგისტრატორს გადასცეს ბიულეტენების დასტა, სადაც 50-ის ნაცვლად 43 ბიულეტენი იყო.

● გადასატან ყუთში აღმოჩნდა დამატებით 4 ბიულეტენი, ორ ამომრჩეველზე გაცემული იყო ორ-ორი ბიულეტენი. კომისიის თავმჯდომარემ გასწორების მიზნით, მისი სურვილით ორი ბიულეტენი გააუქმა, დარჩენილი ორი კი საარჩევნო ყუთში მოათავსა.

● არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირი აშკარა იძულებით გამოცხადდა უბანზე, სატესტო წრის გაფერადებასაც ვერ ახერხებდა. პატრიოტთა ალიანსის დამკვირვებელი ცდილობდა დახმარებოდა გაფერადებაში და ეუბნებოდა ვისთვის მიეცა ხმა.

● ამავე უბანზე ვერიფიკაციისას კომისიის წევრი ამომრჩეველს აღრიცხავდა პირად რვეულში.

● მეორედ დაფიქსირდა ამომრჩეველზე ორი ბიულეტენის გაცემა, ცდილობდა ყუთში ჩაგდებას.

● სისტემატიურად ადგილი ჰქონდა ბიულეტენის ფარულობის დარღვევას. მეორე მხრიდან ჩანდა გაფერადებული და კომისიის წევრები ხედავდნენ არჩევანს.

მესამე უბანი — „საქართველოს მომავლის აკადემიის“ დამკვირვებლის ილია ღოღობერიძის ინფორმაციით, ვერიფიკაციის აპარატი არ ატარებდა და ხმოვან სიგნალს გამოსცემდა, რადგან მას სხვა უბანზე ხმა მიცემული ჰქონდა. ამომრჩეველის ინფორმაცია ხელით შეიყვანეს წიგნში და ისე მიაცემინეს ხმა. გაფრთხილების მიუხედავად რეაგირება არ მოჰყოლია.

● ჩვენს დამკვირვებელს თავმჯდომარე არ აძლევდა უფლებას ამომრჩეველთა პერსონალურ მონაცემებს დაკვირვებოდა.

● მესამე უბანზეც ადგილი ჰქონდა ბიულეტენების ფარულობის პრინციპის დარღვევას, გაფერადებული წერტილი ზემოდან ჩანდა და არჩევანს ხედავდნენ კომისიის წევრები.

მეოთხე უბანი — უბნის ეზოში წითელ მიკროავტობუსში პირები ფლობდნენ სიებს და ამომრჩევლის პერსონალურ მონაცემებს. ხმის მიცემის სანაცვლოდ გაურკვეველი პირები ამომრჩევლებს გადასცემდნენ თანხებს.

● ამავე უბნის ეზოში სადამკვირვებლო ფუნქციის ხელის შეშლის მიზნით ოპოზიციის წარმომადგენელზე მოხდა ფიზიკური ძალადობა, რაზეც თავმჯდომარეს რეაგირება არ მოუხდენია.

● საქართველოს მომავლის აკადემიის დამკვირვებელს თამარ ქოზაშვილს არ ეძლეოდა ვერიფიკაციის პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა. მაგიდები კედელთან ახლოს იდგა და თავმჯდომარე უკრძალავდა მაგიდასთან მიახლოებას.

● სისტემატიურად ირღვეოდა ბიულეტინების ფარულობა. მეორე მხრიდან ჩანდა გაფერადებული წერტილი და კომისიის წევრები ხედავდნენ არჩევანს.

№11 უბანი, ხორნაბუჯი — მომავლის აკადემიის დამკვირვებელმა რევაზ ბახტაძემ უბნის ეზოში დააფიქსირა სოფლის რწმუნებული, , რომელიც ამომრჩეველზე ზეგავლენას ცდილობდა. მოთხოვნის მიუხედავად თავმჯდომარეს რეაგირება არ ჰქონია.

● უბანზე იმყოფებოდა ქართული ოცნების ორი დამკვირვებელი, მითითების შემდეგ ერთს დაატოვებინეს უბანი, თუმცა დერეფანში იმყოფებოდა და ტერიტორიის დატოვებაზე უარს ამბობდა. თავმჯდომარე კი განმარტავდა, რომ გარე სივრცე მის კომპეტენციას სცილდებოდა.

● უბნის მიმდებარედ წითელი მინივენის ავტომობილი იყო, სადაც სიები

და ამომრჩევლის პერსონალური მონაცემები ჰქონდათ. მოთხოვნის მიუხედავად რეაგირება არ მოუხდენია არც უბნის თავმჯდომარეს, არც პოლიციას.

● ამავე უბნის მიმდებარედ იყვნენ უცხო პირები, რომლებიც ამომრჩეველს მოუწოდებდნენ კონკრეტული პარტიის არჩევისკენ. მოთხოვნის მიუხედავად არც თავმჯდომარეს მოუხდენია რეაგირება, არც პოლიციას.

● სისტემატიურად ირღვეოდა ბიულეტენების ფარულობის პრინციპი. უკანა მხრიდან ჩანდა გაფერადებული და კომისიის წევრები ხედავდნენ არჩევანს.

№14-ე უბანი ზემო ქედის სკოლა — უბანზე გამოცხადდა კომისიის 19 წევრი, დაშვებულია 17.

● ცესკოს მიერ მოწოდებულ დალუქულ პაკეტებში მოთავსებული უნდა ყოფილიყო 50 ბიულეტენი, თუმცა იყო 51.

● ორჯერ დაფიქსირდა რეგისტრატორის მიერ ორ-ორი ბიულეტენის გადაცემის ფაქტი, რომელიც ყუთში მოთავსების დროს აღმოვაჩინეთ.

● დაფიქსირდა აგიტაციის ფაქტი. არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირი უბანზე მოვიდა და ყვიროდა 41 ვარ, 41 ვარ.

● უბნის მიმდებარედ, ეზოში იმყოფებოდნენ პირები, რომლებიც ამომრჩეველზე ზეგავლენას ცდილობდნენ.

● სისტემატიურად ადგილი ჰქონდა ხმის ფარულობის დარღვევას. უკანა მხრიდან ბიულეტენს ეტყობოდა რომელი ადგილია გაფერადებული. როცა ამომრჩეველი დამთვლელ აპარატში ათავსებდა, კომისიის წევრები ხედავდნენ მის არჩევანს.

ამ საკითხებზე იმსჯელა დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიამ. 31 ოქტომბრის სხდომაზე გაირკვა, რომ საჩივრებში მოყვანილ ფაქტების ნაწილზე რეაგირება უბნებზე მაშინვე მოხდა, ფაქტების ნაწილი კი ჟურნალში საერთოდ არ იყო დაფიქსირებული. არც ის შემთხვევაა დაფიქსირებული, თითქოს აპარატმა ხმოვანი სიგნალი გამოსცა იმის გამო, რომ სხვა უბანზე ხმა მიცემული ჰქონდა. ამდენად, საოლქო კომისიამ უსაფუძვლობის გამო საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარი თქვა.

● საია—ს წარმომადგენელი ვერიკო ჯგერენაია ითხოვდა დედოფლისწყაროს №18 სამთაწყაროს უბნის შედეგების გაუქმებას. მისი მტკიცებით, საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი შემაჯამებელი ოქმი, სადაც არჩევნების საბოლოო შედეგებია ასახული, არ ბალანსდებოდა. ბიულეტენების ჯამი არ ემთხვევა არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას. ზედმეტია 1 ბიულეტენი, თუმცა ოქმს არ ახლავს შესწორების ოქმი, ან ახსნა-განმარტება. ამიტომ საია ითხოვდა, ხელახლა გადათვლილიყო ამომრჩეველთა რაოდენობა ყველა სახის სიაში და ხელახლა გადათვლილიყო ყველა ბიულეტენი. ბათილად ეცნოთ შემაჯამებელი ოქმი.

● საოლქო კომისიის განკარგულებაში ნათქვამია, რომ სინამდვილეში ოქმი სწორად იყო შედგენილი, საერთო რაოდენობა 618-ია დაფიქსირებული და არანაირი ცდომილება არ არის, საუბნო კომისიამ სწორად შეავსო შემაჯამებელი ოქმი და შესწორების საჭიროება არ ყოფილა. საოლქო კომისიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საია-ს წარმომადგენელი არასწორად უთითებდა რაოდენობას, მოთხოვნები უსაფუძვლო იყო, რის გამოც მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

● **„ლელო“-ს საჩივარი** — „მოვითხოვთ გაიხსნას დედოფლისწყაროს ოლქის 1-დან 20-ე უბნის ჩათვლით ვერიფიკაციის აპარატებიდან ამობეჭდილი ამომრჩეველთა სია და გაიხსნას ამომრჩეველთა ვერიფიკაციის ქვითრები. ხოლო, იმ უბნებზე, სადაც არჩევნები ჩატარდა ტრადიციული მეთოდით, შემოწმდეს სამაგიდო სიებში არსებული ხელმოწერები. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ბათილად იქნეს ცნობილი აღნიშნული უბნების შემაჯამებელი ოქმები და ხელახლა გადათვლის შედეგად სამართლიანი და კანონიერი შედეგების ასახვა მოხდეს.

—ვინაიდან ამ განცხადებაში არ დგინდება კონკრეტული დარღვევის არსი და დრო, ასევე განმცხადებლის მიერ უბნებზე არ დაწერილა საჩივარი, უბნის შემაჯამებელი ოქმი შევსებულია კანონის მოთხოვნების სრული დაცვით — არ არსებობს ვერიფიკაციის ქვითრების, ამომრჩეველთა სიების, ქვითრებსა და სიებში ხელმოწერების გადათვლის არანაირი საფუძველი. ასევე, გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, არ არსებობს კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის საფუძველიც. ამდენად, არ დაკმაყოფილდეს „ლელო“-ს საჩივარი, უსაფუძვლობის გამო.

დავით ნასრაშვილი *(დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე):* „კენჭისყრის დღე მშვიდ ვითარებაში დასრულდა. დედოფლისწყაროს მასშტაბით სერიოზული დარღვევები არ ყოფილა. იყო პატარ-პატარა პროცედურული შეცდომები, რომლებიც ძირითადად ადამიანური ფაქტორითაა გამოწვეული და მალევე აღმოიფხვრა. 27 ოქტომბერს სულ 7 საჩივარი იყო შემოსული. შემდეგ 2 საჩივარი სიღნაღის სასამართლოში გასაჩივრდა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა და 7 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდა. მოთხოვნა არც საპელაციომ დააკმაყოფილა და ჩვენი გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, რის შემდეგაც შესაძლებლობა მოგვეცა შემაჯამებელი ოქმი დაგვეწერა. 7 ოქტომბერს საღამოს უკვე შევავსეთ შემაჯამებელი ოქმი, რომელსაც 15-მა წევრმა ხელი მოაწერა. ოქმს თან ახლავს 4 განსხვავებული აზრი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის, ევროპული საქართველოს, სტრატეგია აღმაშენებლისა და ლელოს წარმომადგენლებმა დააფიქსირეს. თუმცა, რაიმე დარღვევებზე არ მიანიშნებენ, ძირითადად პოლიტიკური განცხადებებია. 8 ნოემბერს საღამოს დედოფლისწყაროს შემაჯამებელი ოქმი პირადად ჩავიტანე თბილისში, დედანი ცესკო-ს მივაწოდე. რაც შეეხება კომისიის წევრთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს, ჩვენი მხრიდან მხოლოდ 1 უბნის მდივანს გამოეცხადა შენიშვნა, კომისიებში სხვა ნებისმიერ წევრს რაიმე შეცდომა არ დაუშვია. წინა წლებისგან განსხვავებით წელს უფრო ცოტა საჩივარი შემოვიდა, თუმცა, ხმის დათვლასა და შეჯამებაზე შენიშვნები არ ყოფილა. რაც შეეხება გაბათილებულ ბიულეტენებს, უმნიშვნელო რაოდენობის ბათილი ბიულეტენები გვქონდა, სულ 144 და არც ამაზე ყოფილა რაიმე პრეტენზია. ამით საოლქო კომისიამ თავისი მუშაობა დაასრულა და ყველანაირი პროცედურა გავიარეთ“.

ილია მარტყოფლიშვილი

ეთიკისა და კეთილსინდისიერების იმედად...

ამბავი, რომელიც ამ სტატიის ინსპირაციის წყარო გახდა, სულ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ ქსელურ მარკეტში პირადად გადამხდა. მოკლე ტექსტური შეტყობინება ფასდაკლებას ერთ-ერთ საკვებ პროდუქტზე მამცნობდა. ისევე, როგორც ყველა, იმ იმედით, რომ შეღავათიან ფასად შევიძენდი სასურველ პროდუქტს, მარკეტში შევედი. ახალი არავისთვისაა, რომ ჩვენი მოსახლეობა ფინანსების დასაზოგად ძირითადად ფასდაკლებებს ელოდება. აღმოჩნდა, რომ მარკეტს, იმ დღით გამოცხადებული ფასდაკლებული პროდუქტი საერთოდ აღარ აღმოაჩნდა. იკითხავთ, რა გასაკვირია, ალბათ, ხალხი მალე მივიდა, შენ დაგაგვიანდა და ამოიყიდაო, მაგრამ არა - თქვენ გადაყიდვის ფაქტებთანაც გაქვთ საქმე.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია გადაყიდვა და არეგულირებს თუ არა კანონმდებლობა მსგავს შემთხვევებს, რათა მომხმარებელი არ დარჩეს უნებურად იმედგაცრუებული და გარკვეულწილად დაზარალებული. შესაბამისად, დავსვით კითხვა, შესაძლებელია თუ არა ფასდაკლებაში ნაყიდი პროდუქციის გადაყიდვა?

კვლევა - ძიების შედეგად, ასეთი სურათი იშლება - დიახ, ეს სრულიად შესაძლებელია მოგების მიზნით. ეს არის ჩვეულებრივი ბიზნესპრაქტიკა, რომლის ძირითადი იდეაა იყიდოთ პროდუქტები უფრო დაბალ (ხშირად ამოყიდვის ან ფასდაკლების დროს) და გადაყიდოთ ისინი უფრო მაღალ ფასად.

როგორც ქსელური მარკეტების მენეჯერები გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აღნიშნავენ, ეს სრულიად დასაშვებია, უბრალოდ, ერთი განსხვავებით - შეთანხმებით საბითუმო მაღაზიებთან, რომ ისინი ფასდაკლებებისას მხოლოდ გარკვეული რაოდენობის პროდუქციას შეიძენენ. „პირადად, ყოველთვის წინასწარ მაქვს კომუნიკაცია და ვუთანხმდები საბითუმო მაღაზიებს პროდუქტის რაოდენობასთან დაკავშირებით, რომ რიგითი მომხმარებელი უკმაყოფილო არ დარჩეს და ყველამ ისარგებლოს ფასდაკლებით. გარდა ამისა, თუ ისეთი სიტუაციაა, რომ პროდუქცია ძირითადი საწყობიდან მცირე რაოდენობით გვაქვს მოწოდებული, ვაწესებ ლიმიტს, რომ აქაც რაიმე უკმაყოფილებას არ ჰქონდეს ადგილი. ასევე არის შემთხვევები, როდესაც მომხმარებელი იგებს ფასდაკლების შესახებ, მაგრამ დასახელებული პროდუქტი კონკრეტულ მაღაზიამდე არც მოდის, ისევ და ისევ მარაგის დეფიციტის გამო. ყველაფერი მენეჯერის სტრატეგიასა და გადამყიდველების კეთილსინდიერებაზეა დამოკიდებული“ - აცხადებს ერთ-ერთი მარკეტის მენეჯერი ჩვენთან საუბარში.

საქართველოში პროდუქციის გადაყიდვის სამართლებრივი გარემო გარკვეულწილად განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა უფრო ლიბერალურია მეწარმეობისა და ბიზნესის რეგულაციების თვალსაზრისით, ბევრ სხვასთან შედარებით, ჯერ კიდევ არსებობს რამდენიმე ძირითადი ასპექტი, რომელიც გადამყიდველმა უნდა გაითვალისწინოს. საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც კრძალავს ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, როგორიცაა ხილი და ბოსტნეული, გადაყიდვას. ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობის პროდუქტები ეკონომიკის ძირითადი ნაწილია და მათი გადაყიდვის ბაზრები გავრცელებულია როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში. ზოგიერთ ქალაქს შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი რეგულაციები ბაზრის მოვაჭრეებისთვის, როგორიცაა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესები ან ფართის ნებართვა გასაყიდად.

თუმცა, გადამყიდველებმა აუცილებელია აწარმოონ ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება: მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ხილი და ბოსტნეული, რომელსაც ხელახლა ყიდიან, აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის ძირითად სტანდარტებს. თუ პროდუქტს იღებენ ადგილობრივი ფერმერებიდან ან საბითუმო ბაზრებიდან, მათ უნდა შეამოწმონ, რომ ნივთები აკმაყოფილებს ჰიგიენისა და უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებს (მსგავსი შემთხვევა მქონდა ერთ-ერთ ბაზარში, როდესაც ფასდაკლებით ნაყიდი და ამოყიდვაში შეძენილი პროდუქტები ვერ აკმაყოფილებდა სურსათის უვნებლობის სტანდარტს-მას არ ჰქონდა მითითებული შენახვის ვადა). ასევე სრულიად ლეგალურია საქართველოში საყოფაცხოვრებო ნივთების, როგორიცაა სამზარეულოს ჭურჭელი, საწმენდი საშუალებები, ავეჯი, ტექნიკა და სახლის დეკორის გადაყიდვა. ნივთების გადაყიდვა სხვადასხვა არხებით ხდება, მათ შორის:

****ადგილობრივი ბაზრები და ქუჩის ვაჭრობა (ხილის, ბოსტნეულის და საყოფაცხოვრებო საქონლისთვის).***

****ონლაინ პლატფორმები;***

****საცალო მაღაზიები;***

საქართველოში ბოსტნეულის, ხილისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დიდი რაოდენობით გადაყიდვა ლეგალურია, იმ პირობით, რომ დაიცავთ აუცილებელ რეგულაციებს:

****ბიზნესის რეგისტრაცია და დაბეგვრა (მაგ. დარეგისტრირება, როგორც ინდმეწარმე, საჭიროების შემთხვევაში დღგ-ს გადახდა).***

****კვების პროდუქტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები;***

****მომხმარებელთა დაცვის კანონები საყოფაცხოვრებო ნივთებისთვის (როგორიცაა გარანტიები, დაბრუნება და პროდუქტის უსაფრთხოება);***

****იმპორტის რეგულაციები (თუ თქვენ ყიდულობთ საქონელს საზღვარგარეთიდან);***

თუ დარწმუნდებით, რომ იცავთ ბიზნესისა და მომხმარებლის ძირითად კანონებს, შეგიძლიათ წარმატებით შეიძინოთ და გაყიდოთ პროდუქტები საქართველოში.

თუ იმედგაცრუებული ხართ იმით, რომ გადამყიდველები მუდმივად „ითვისებენ“ ფასდაკლებულ აქციებს, არსებობს სხვადასხვა სტრატეგიები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: მუდმივად იყოთ ინფორმირებულები ფასდაკლებების შესახებ ალტერნატიული პლატფორმების გამოყენებით, რომელიც საშუალებას მოგცემთ, თვალი ადევნოთ სხვადასხვა ფასდაკლებებს, რითაც შესაძლებელია თავიდან აიცილოთ მხოლოდ ერთ აქციაზე დაყრდნობა და თქვენც მიიღოთ სარგებელი.

თუმცა, საბოლოოდ, თუკი ნებისმიერი გადამყიდველი ეთიკისა და მორალის ფარგლებში მიუდგება აღნიშნულ მოვლენას, ამ ფაქტთან პრეტენზია არავის ექნება, მაგრამ მაშინ, როდესაც რიგითი მომხმარებელი ფიზიკურად ვერ იღებს იმ აქციის ფარგლებში მარკეტის მიერ შემოთავაზებულ სიკეთეს, ეს უკვე აღშფოთებას და აგრესიასაც კი იწვევს კონკრეტული სუბიექტებისა თუ ობიექტებისადმი. თითოეული მათგანი ორიენტირებული უნდა იყოს გადაყიდვის გონივრულ ფასზე და მიდგომაზე, ვიდრე დეფიციტის შექმნაზე, რადგან ამით საკუთარ კეთილდღეობასთან ერთად სხვასაც შეუქმნის ისეთ გარემოს, რომ არც მარკეტის მიმართ დაკარგოს მომხმარებელმა კეთილგანწყობა და არც მათ მიმართ, ვინც გადაყიდვის გზით ცდილობს საკუთარი შემოსავლის გაზრდას.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ბავშვი წუწუნებს-რა ვქნათ?

რა არის წუწუნი? ლექსიკონის თანახმად, ეს არის ხმამაღალი და ხანგრძლივი უკმაყოფილება. ბავშვები მას ხშირად იყენებენ თავისი სურვილის უფრო ნათელი და გასაგები გამოხატვის ნაცვლად. მაგალითად, იმის მაგივრად, რომ უბრალოდ ითხოვოს ჭამა, ბავშვი იწყებს წუწუნს და განუწყვეტლივ იმეორებს-„დედიკო, მშიაა!“

ბავშვის წუწუნი, უმეტესად, მშობლების გაბრაზებას და საკუთარი უძლურების განცდას იწვევს.

წუწუნის ფენომენი გავრცელებულია 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებში. თუმცა იგი თავს ყველა ასაკში შეიძლება იჩენდეს. დაწყებითი კლასების ბავშვებთან წუწუნი ხშირად მოწყენილობის ნიშანია, მაშინ როცა გარდატეხის ასაკის მოზარდი თავისი წუწუნით გვეუბნება-„შენ არა ხარ ჩემი უფროსი, შენ მე ვერ გამაკონტროლებ, მე რასაც მინდა იმას გაგაკეთებინებ“.

ბავშვი სწრაფად ხვდება წუწუნის ძალას, მაგრამ ამასთან მას უჩნდება ერთგვარი შფოთვაც. იგი ფიქრობს: ვიცი, რომ ჩემი წუწუნი მშობლებს ცუდ ხასიათზე აყენებს, ნუთუ ეს ნამდვილად მინდა?“

წუწუნით ბავშვი აიძულებს მშობელს, რომ მან ნათელი გადაწყვეტილება მიიღოს, ე.ი. შეუსრულოს სურვილი. ეს არის წუწუნის ერთ-ერთი მიზეზი, მაგრამ ამავე დროს ბავშვი წუხს კიდეც, არაცნობიერად მან იცის: „თუ მშობლები თავს ვერ შეიკავებენ და გამირისხდებიან, დავიღუპე“.

ზრდასრულ ადამიანთან წუწუნი უსუსურობაა და გადაწყვეტილების მიღების სუსტი უნარის ნიშანია.

როდესაც ბავშვი სულ პატარაა, მისი მოთხოვნილებები გასაგებია. როცა მას, რაიმე უნდა, იწყებს ტირილს და ჩერდება როდესაც ყურადღებას მიაქცევენ და მოთხოვნილებას დაუკმაყოფილებენ: ლაპარაკის დაწყებასთან ერთად ბავშვის სურვილებიც მშობლისთვის უფრო გასაგები ხდება. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბავშვი აღმოაჩენს, რომ ხანგრძლივი და საწყალობელი წკმუილი იწვევს დედის გაცილებით უფრო ძლიერ რეაქციას, ვიდრე უბრალოდ თხოვნა იმისა, რისი მიღებაც სურს. ბავშვი წუწუნის კარგად გამოყენებას ეუფლება და ამით თავის სამყაროს მართავს, იგი წუწუნებს, როდესაც უფროსი ძმა აწუხებს ან როცა მოწყენილია, წუწუნებს, როდესაც გაუნაწყენდება ვინმეს ან უბრალოდ სურს, რომ უფროსმა ხელში აიყვანოს და როგორც წესი, მის წუწუნს დედის საპასუხო რეაქცია მოსდევს. ბავშვის წუწუნი თანდათან მუდმივი ხდება და დედა გრძნობს, რომ მისი დღე მთლიანად ამოვსებულია შემაწუხებელი გაბმული ზმუილით. ექიმი დარწმუნებულია, რომ ბავშვი უეჭველად გამო წუწუნის ასაკიდან, მაგრამ რა გაკეთოს დედამ მანამდე? მისი დაძაბულობა ყოველდღიურად მატულობს, სურს საშველად ვინმეს დაუძახოს, არ იცის როგორ შეაჩეროს ბავშვის განუწყვეტელი წუწუნი, რომელიც მას უსუსურობის განცდას უჩენს და მთლიანად გამოჰყავს იგი წყობიდან.

ამგვარი სიტუაციის მართვის რამდენიმე ხერხი არსებობს.

1. საკმაოდ ეფექტურია დღიურის შემოღება, სადაც აღნიშნავთ როდის და რატომ იჩენს თავს წუწუნი, ხომ არ ხდება ეს განსაზღვრულ დროს, როდესაც თქვენი ბავშვი დაღლილია, მოწყენილია, ან შია, ან უბრალოდ სურს, რომ ხელში აიყვანოთ და მოეხვიოთ? ბავშვის წუწუნის დაწყების დროისა და საეჭვო მიზეზების ჩანიშვნა მოგვცემს საშუალებას გააცნობიეროთ, რაშია საქმე და მიიღოთ გადაწყვეტილება, თუ როგორი პასუხი გასცეთ ბავშვს ან გასცეთ თუ არა საერთოდ პასუხი. ეს ხერხი შეარბილებს დაძაბულ სიტუაციას და მოხდება ისე, რომ ბავშვი შეწყვეტს წუწუნს, თქვენი საპასუხო ქცევის დაწყებამდეც კი.

2. მეორე ხერხია, უკარნახოთ ბავშვს, დაადგინოს თავისთვის თუ რა უშლის მას ხელს, ან რა უნდა. შეგიძლიათ უთხრათ მას, მესმის, რომ შენ ეხლა გიჭირს, მიხვდე ზუსტად თუ რისი გაკეთება გინდა, მაგრამ არც მე შემიძლია გავაკეთო ეს შენს მაგივრად, ამიტომ არჩევანი შენზეა, ამით პასუხისმგებლობას ბავშვზე გადაიტანთ და მისცემთ მას ენერგიას პრობლემების გადასაჭრელად.

3. შეგიძლიათ აირჩიოთ კიდევ ერთი ხერხი - არ მიაქციოთ ყურადღება წუწუნს და გახვიდეთ ოთახიდან. ამით თქვენ უჩვენებთ ბავშვს, რომ მის წუწუნს არ აქვეთ ყურადღებას. ამ შემთხვევაშიც ბავშვს თვითონ მოუწევს პრობლემების გადაჭრა, რაც ყოველთვის უფრო ღირებულია, მისი პიროვნების განვითარებისთვის.

4. კიდევ ერთი უეშმაკო „ტაქტიკა“. აიყვანეთ ბავბშვი ხელში და მოეხვიე მისთვის სრულიად მოულოდნელ მომენტში. ეს განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც იგი წუწუნის დაწყებას აპირებს.

მშობლის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი ამ პრობლემებთან დაკავშირებით არის ის, რომ დავეხმაროთ ბავშვს მისი სურვილის უფრო გასაგები ფორმით გამოხატვაში, ვიდრე ეს არის წუწუნი.

ავიღოთ მაგალითი: თქვენი 14 წლის ვაჟი წუწუნით გსაყვედურობთ, რომ თქვენ არ აძლევთ მას გართობის საშუალებას. კამათის დაწყების მაგივრად უბრალოდ თხოვეთ მას უფრო ზუსტად თქვას რა უნდა. შეიძლება აღმოჩნდეს რომ კლასელები ერთ-ერთ მათგანთან იკრიბებიან და თქვენ შვილსაც სურს გვიანობამდე იყოს მათთან და არ დაბრუნდეს თქვენს მიერ ნაბრძანებ დროს საღამოს 10 საათზე. როდესაც ამგვარ ნათელ თხოვნას მოისმენთ, უკვე შეგიძლიათ ასეთივე ნათელი პასუხი გასცეთ შვილს და ვთქვათ „ხო“ ან „არა“ ან ორივე ნაწილობრივ დათმობაზე შეთანხმდეთ. აი, ამის შემდეგ კი, შეგიძლიათ გაუცნობიეროთ ბავშვს, თუ რამდენად მომგებიანია მისთვის წუწუნის მაგივრად ზუსტად გითხრათ რა უნდა. ასეთი ურთიერთობა უკეთ გაგაცნობთ თქვენს შვილს და საკუთარ თავსაც.

ფსიქოლოგი,

გესო გიგოლაშვილი

ტრამპი – აშშ-ს ახალი პრეზიდენტი

რა შეიცვლება საქართველოსა და მსოფლიოსთვის?

დონალდ ტრამპი კვლავ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ხდება.

ტრამპმა 5 ნოემბრის არჩევნებში გამარჯვებამდე გაუძლო განხეთქილებას რესპუბლიკურ პარტიაში, მისი პირველი ვადით პრეზიდენტობის დროს წამოჭრილ სამართლებრივ პრობლემებს, მის წინააღმდეგ განხორციელებული მკვლელობის მცდელობას.

ტრამპმა ასევე გაუძლო დემოკრატიული პარტიის გააფთრებულ თავდასხმას, რომელიც ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისის ირგვლივ გაერთიანდა.

78 წლის ასაკში ის ყველაზე ხანდაზმული კანდიდატია, ვისაც ოდესმე გაუმარჯვია აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში. წინა რეკორდი მის წინამორბედს, ჯო ბაიდენს ეკუთვნოდა, რომელმაც, ოთხი წლის წინ, 77 წლის ასაკში დაამარცხა ტრამპი.

20 იანვარს, ინაუგურაციის შემდეგ, ტრამპს ასევე შეეძლება, თქვას, რომ ის ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე და 47-ე პრეზიდენტია. ამერიკის ისტორიაში აქამდე მხოლოდ ერთი პრეზიდენტი, გროვერ კლივლენდი, აირჩიეს ორჯერ არა ზედიზედ. ეს 130-ზე მეტი წლის წინ მოხდა.

ტრამპი უკვე გახდა პირველი პრეზიდენტი, რომლის იმპიჩმენტიც ორჯერ განხორციელდა. ის პირველი პრეზიდენტია, რომელიც ნასამართლევია სისხლის სამართლის დანაშაულისთვის.

მას ჯერაც წინ აქვს სისხლის სამართლის კიდევ ორი ბრალდება - ბაიდენისთვის ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემისათვის ხელის შეშლასა და 2020 წელს ჯორჯიის შტატში არჩევნებში ჩარევის სავარაუდო მცდელობებთან დაკავშირებით.

ტრამპმა მეოთხე საპრეზიდენტო კამპანიაში დიდი გამოცდილება დააგროვა და დიდი მხარდაჭერა მიიღო.

ბევრი ერთგული მიმდევარი მიესალმა მის უარს ბაიდენის წინააღმდეგ არჩევნებში წაგების აღიარებაზე, მის ცეცხლოვან რიტორიკას პოლიტიკური კონკურენტების წინააღმდეგ და ვარაუდებს, რომ მისი სამართლებრივი პრობლემები მის წინააღმდეგ წამოწყებული "კუდიანებზე ნადირობის" შედეგი იყო.

დონალდ ტრამპი ასევე რეგულარულად ლიდერობდა გამოკითხვებში, სადაც ამომრჩევლებს ეკითხებოდნენ, თუ რომელ კანდიდატს შეეძლო უკეთ გამკლავებოდა იმიგრაციისა და ინფლაციის საკითხებს.

კამპანიის დროს ის ამბობდა, რომ შეეძლო ამერიკის სწორ გზაზე დაყენება, მაშინ, როდესაც ქვეყნის ძირითადი პრობლემები იყო არალეგალური იმიგრანტების სიმრავლე, სტაგნაცია და უნიათო საგარეო პოლიტიკა. ამ ყველაფრის უკან კი, მისი თქმით, მთავრობის ჩრდილოვანი წარმომადგენლები და ბიუროკრატები იდგნენ, რომლებსაც ის „ღრმა სახელმწიფოს" - deep state-ს - უწოდებს.

2016 წლის კამპანიის დროს მან ამომრჩევლის გული მოიგო დაპირებით, რომ „ამერიკას დიდებას დაუბრუნებდა" - დადებდა უკეთეს სავაჭრო გარიგებებს, გაზრდიდა აშშ-ის სამხედრო დაფინანსებას და ქვეყანას მსოფლიოს პატივისცემას აღუდგენდა.

მას ასევე დაეხმარა ნიუ-იორკის უძრავი ქონების მაგნატის სტატუსი, რის გამოც 1980-იანი წლების ბოლოდან უბრალოდ „დონალდად" მოიხსენიებდნენ. მისი გვარი გამოსახულია ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში მდებარე ცათამბჯენებზე. მილიონობით ტელემაყურებელი უცქერდა მის რეალითი შოუს. ტრამპი ბევრის მიერ აღიქმებოდა, როგორც ადამიანი, რომელსაც შეეძლია „ჭაობის დაშრობა". ჭაობი მან ვაშინგტონის კორუფციას და ბიუროკრატიას უწოდა.

ამჯერად, 2024 წლის კამპანიისას, ტრამპი აღარ იყო პოლიტიკური აუტსაიდერი; მისი მხარდამჭერები მიიჩნევდნენ, რომ მან გაუძლო ქარიშხალს და დაამტკიცა, რომ ძლიერი, გლობალური მასშტაბის ლიდერი იყო.

არჩევნების შედეგი საბოლოოდ შვიდი, მერყევი შტატის ამომრჩევლებმა განსაზღვრეს, რომელთა უმეტესობამ მიიჩნია, რომ ტრამპი ყველაზე შესაფერისი ლიდერია უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომების ფონზე.

თავისი პირველი ვადის დროს ტრამპმა ცალმხრივად გამოიყვანა შეერთებული შტატები ირანის ბირთვული შეთანხმებიდან და წამოიწყო სავაჭრო ომი ეკონომიკურ კონკურენტ ჩინეთთან.

მან ასევე გამოიყვანა შეერთებული შტატები გლობალური შეთანხმებებიდან, რომლებიც, მისი აზრით, არ იყო ხელსაყრელი ვაშინგტონისთვის და ზეწოლა მოახდინა ნატოს მოკავშირეებზე, რათა გაეზარდათ თავდაცვის დაფინანსება, რაც მათმა უმრავლესობამ გააკეთა.

ტრამპის ადმინისტრაციამ დადო საკამათო გარიგება თალიბანთან, სადაც დაადგინეს პირობები ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების სრული გაყვანისთვის 2021 წელს.

ტრამპის ოპონენტებმა ეს შეთანხმება მიიჩნიეს, როგორც თალიბების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების საფუძველი. ტრამპმა ბაიდენი და ჰარისი დაადანაშაულა სიტუაციის არასწორად მართვაში, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრა.

თავისი პირველი ვადის განმავლობაში, ტრამპი ცდილობდა შეეცვალა ვაშინგტონის ურთიერთობა რუსეთთან - გაეუმჯობესებინა კავშირები პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან, თუმცა, ამავე დროს, მრავალი სადამსჯელო სანქცია მიიღო მოსკოვის წინააღმდეგ.

ტრამპმა თქვა, რომ მისი ურთიერთობა პუტინთან ხელს შეუწყობს რუსეთის ომის დასრულებას უკრაინის წინააღმდეგ.

„რესპუბლიკელები" თვლიან, რომ ეს არის აშშ-ის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკური დაბრუნება. რისი შეცვლა შეუძლია ტრამპს მსოფლიოსა და საქართველოში, ანალიტიკოსების მოსაზრებები სხვადასხვაგვარია. დონალდ ტრამპმა პირველი კომენტარი ფლორიდაში, საკუთარ მხადამჭერებთან უკვე განაცხადა და აღნიშნა, რომ ეს ამერიკის ოქროს ხანა იქნება. ***„ვაპირებთ განკურნებაში დავეხმაროთ ჩვენს ქვეყანას, რომელსაც დახმარება სჭირდება. ჩვენს საზღვრებს გამოვასწორებთ, ყველაფერს გამოვასწორებთ. უკვე ნათელია, რომ ჩვენ ყველაზე საოცარ პოლიტიკურ გამარჯვებას მივაღწევთ",*** - განაცხადა ტრამპმა. სიტყვით გამოსვლისას დონალდ ტრამპმა ამერიკელ ხალხს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამერიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევა მისთვის პატივია".

ოთხშაბათს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა და პრეზიდენტობის დემოკრატმა კანდიდატმა კამალა ჰარისმა თავის რესპუბლიკელ მეტოქეს, დონალდ ტრამპს დაურეკა და არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. ჰარისის ერთ-ერთმა თანაშემწემ განუცხადა Associated Press-ს, რომ მან და ტრამპმა სატელეფონო საუბრისას განიხილეს ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემის მნიშვნელობა.

სტივენ ჩუნგმა, ტრამპის კამპანიის სპიკერმა, კანდიდატების საუბარს „გულწრფელი" უწოდა. **„პრეზიდენტმა ტრამპმა მადლობა გადაუხადა ვიცე-პრეზიდენტ ჰარისს მისი სიძლიერის, პროფესიონალიზმისა და გამძლეობისთვის მთელი კამპანიის განმავლობაში და ორივე ლიდერი შეთანხმდა, რომ მნიშვნელოვანია ქვეყნის გაერთიანება"**, - თქვა მან განცხადებაში. მანამდე საუბრის

ფაქტი CBS-ისა და CNN-ის წყაროებმა დაადასტურეს.

ამავე შეკრებაზე აშშ-ის მომავალმა ვიცე-პრეზიდენტმა, ჯეი დი ვენსმა განაცხადა, რომ „აშშ-ის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკური დაბრუნების მოქმეები გავხდით". ვენსმა დონალდ ტრამპს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მასთან ერთად "ამერიკის ისტორიაში ყველაზე დიდებულ ეკონომიკურ დაბრუნებას უხელმძღვანელებს". კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორსა და ანალიტიკოს ვახტანგ მაისაიას მიაჩნია, რომ ტრამპი საგარეო პოლიტიკის მხრივ სამ მიმართულებაზე იქნება კონცენტრირებული. ანალიტიკოს გია აბაშიძის აზრით კი, ტრამპი, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე უკრაინაში მშვიდობას უზრუნველყოფს".

„ჩემი აზრით, ტრამპი ისრაელის მხადაჭერას ჯერჯერობით გააგრძელებს და, შესაძლოა, მისი მხადაჭერა უფრო გაძლიერდეს. ალბათ, ის შემოიღებს ე.წ. შერჩევით საგარეო პოლიტიკას და შეეცდება შიდა პოლიტიკური პროცესების პირობების შექმნას, რათა გააუმჯობესოს ეკონომიკური მაჩვენებლები, მოახდინოს სოციალური პრობლემების მოგვარება და გადაწყვიტოს არალეგალური მიგრანტების საკითხი, რაც ასე მწვავედ დგას ამერიკის წინაშე. ვფიქრობ, ის სამ მიმართულებაზე იქნება კონცენტრირებული: ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობა, აღმოსავლეთ პრობლემა და, რა თქმა უნდა, უკრაინის ომის თემა. ვერ გეტყვით ზუსტად რას გააკეთებს, ვინაიდან ის ზოგადად ლაპარაკობდა და კონკრეტული გეგმა არ წარუდგენია. სავარაუდოა, რომ რუსეთ-უკრაინის ომში ორივე მხარეს მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომისკენ მოუწოდებს და დროებითი ზავის თემას განსაზღვრავენ. ალბათ, ტრამპს ეს აქვს გადაწყვეტილი. მას წინასაარჩევნოდ ძირითადად ქვეყნის შიდა საკითხებზე ჰქონდა ყურადღება გამახვილებული. ამიტომ რთულია განვსაზღვროთ, ზუსტად რას აპირებს პოლიტიკის საგარეო მიმართულებით", - აცხადებს ვახტანგ მაისაია.

„საქართველოსთან მიმართებაში მე არავითარი მოლოდინები არ მაქვს, რადგან "რესპუბლიკელებმა" მთლიანად დაიკავეს როგორც ქვედა, ისე ზედა პალატა. ფაქტობრივად, იქ მონოპოლიაა და, რაც მთავარია, ერთ-ერთი „რესპუბლიკელი" კონგრესმენი, რომელსაც ტრამპთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს და გამორიცხული არაა რაიმე თანამდებობაც დაიკავოს, მას რომ მოუსმინოთ „ქართული ოცნების" მმართველობით აღფრთოვანებული არაა. ასე რომ, ჩემი აზრით, ის პოლიტიკა, რაც დღეს ამერიკას საქართველოსთან მიმართებაში აქვს, უცვლელი დარჩება", - დაასკვნის მაისაია.

„ტრამპმა თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში არაერთხელ თქვა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში მყისიერად დასრულდება უკრაინაში ომი და სამშვიდობო ხელშეკრულებას მოეწერება ხელი. ვნახეთ, რომ ზელენსკისთან მას კონსულტაციები ჰქონდა და თუ მანამდე უკრაინის პრეზიდენტსა და ტრამპს შორის გარკვეული პირადი გაუგებრობები იყო, ბოლოს უკვე დასტაბილურდა. შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ როგორი იქნება ეს სამშვიდობო ხელშეკრულება, ყველაფერი მომლაპარაკებელთა პროფესიონალიზმზე და მოქნილობაზე იქნება დამოკიდებული. რაც შეეხება მეორე არანაკლებ ცხელ წერტილს პლანეტაზე, ახლო აღმოსავლეთს, აქაც ტრამპის დაპირებებია, რომ ის დაასრულებს იმ ე.წ. ხანძარს, რათა არ მოხდეს შემდგომი ესკალაცია და ამერიკის სტრატეგიული პარტნიორის, ისრაელის კიდევ უფრო დაპირისპირება ირანთან. საერთაშორისო ურთიერობებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია ტრამპისეული ამერიკისა და ჩინეთის ურთიერთობები. საჯარო განცხადებებიდან აქაც ვიცით, რომ სატარიფო-სავაჭრო ურთიერთობები უნდა გადაიხედოს, რათა ამერიკის ინტერესები უწინარესად გათვალისწინებული იყოს სავაჭრო ხელშეკრულებებში. აქედან გამომდინარე, ტრამპის ადმინისტრაციას საკმაოდ კომპლექსური საგარეო პოლიტიკა ელის წინ", - აცხადებს გია აბაშიძე.

„ჩვენ ვხედავთ, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლებას სამართლიანად გაუხარდა ტრამპის გამარჯვება, რადგან ტრამპი ფასეულობებზე გალაშქრებას დაასრულებს და ე.წ. ვოუქიზმის პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს ლგბტ პროპაგანდის ნაძალადევად თავს მოხვევას. ოჯახური ღირებულებების და ტრადიციების პატივისცემა, რომ „რესპუბლიკელების" მთავარი პრიორიტეტია, რა თქმა უნდა, ამას „ქართული ოცნება"დაეთანხმება. რაც შეეხება ურთიერთობის გადატვირთვას, აქაც ბევრი რამეა პერსპექტივაში ამერიკა-საქართველოს ურთიერთობის გადახედვა/გადატვირთვაში. რა თქმა უნდა, ეს ურთიერთობა ვაშინგტონიდან ცალკეულმა პირებმა დააზიანეს, მათ შორის ჰელსინკის კომისიიდან. შესაბამისად, ის ზეწოლა, რაც საქართველოზე ე.წ. რუსული კანონის გაუქმებაზეა, სავარაუდოდ, გაქრება, რამეთუ კონგრესის ორივე პალატაში „რესპუბლიკელებმა" მოიპოვეს უმრავლესობა", - მიიჩნევს გია აბაშიძე

მაზლისცოლი ნანა შანშიაშვილი, მაზლისშვილები ლალი და მუხრან ბიკაშვილები; სიძე დავით შავდათუაშვილი; რძალი შორენა ბოლქვაძე ოჯახებით იუწყებიან

ნაზი მოსაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ილია ბიკაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: გივი ლომიძე, ნოდარ გივიშვილი, გენადი ნასრაშვილი, ომარი ალადაშვილი, ჯემალი კოტაშვილი, ნანა ყაზარაშვილი, ნონა ნიკოაშვილი სამძიმარს უცხადებენ ილიკო ბიკაშვილის ოჯახს დედის

ნაზი მოსაშვილის

გარდაცვალების გამო.

შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენთან სამთაწყაროში

სოფელ სამთაწყაროს სკოლაში განხორციელდა პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი,“ რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ პედაგოგები ქეთევან და თამილა ნადირაშვილები. პროექტის ფარგლებში სამთაწყაროს სკოლას ესტუმრა მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში, 60 კგ წონით კატეგორიაში, პარიზის ოლიმპიური თამაშების მონაწილე გიორგი სარდალაშვილი. ასევე, შეხვედრაზე მოწვეული იყო ამავე სკოლის მოსწავლე, წარმატებული სპორტსმენი გიორგი მუშტარაულიც. პროექტში აქტიურად იყო ჩართული სკოლის დირექცია და სასკოლო საზოგადოება.

გაზეთი „შირაქი“ ოლიმპიური თამაშების მონაწილეს გიორგი სარდალაშვილს ესაუბრა და სოფელში გატარებული წლების გახსენება სთხოვა.

გიორგი სარდალაშვილი: „სამთაწყაროს სკოლაში არ მივლია, პირველივე კლასიდან რუსთავში გადავედით, მაგრამ საბავშვო ბაღი სოფელ სამთაწყაროში დავამთავრე. პირველკლ ეტაპზე სოფლიდან წასვლა ძალიან გამიჭირდა. ქალაქში რომ გადავედით საცხოვრებლად, სულ ვტიროდი, ვერ ვხვდებოდი რა ხდებოდა. სულ სოფელში მინდოდა, ბებიებთან ყოფნა მომწონდა. იმდენად ვიყავი მათთან მიჩვეული, დღეებს ვითვლიდი, როდის მომიხერხდებოდა დედოფლისწყაროში წამოსვლა. ყველას ვუყვარვარ სოფელში და ახლაც რომ ჩავდივარ დიდი სიხარულია ჩემთვის. ძალიან უხარიათ ჩემი წარმატებები და მგულშემატკივრობენ. მეც ვცდილობ ვასახელო ეს მხარე და ძალიან მინდა მთელმა მსოფლიომ იცოდეს სიტყვა „სამთაწყარო“, რაც შემეძლება ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ასეც მოხდეს. როცა თავისუფალი დრო მაქვს და ვარჯიშები არაა დაგეგმილი ყოველთვის სოფელში ჩამოვდივარ. აღდგომას, ახალ წელს, შობას აუცილებლად იქ ვარ. ბავშვობიდან მოუსვენარი ვიყავი, სოფელში სულ სადღაც ვიყავი გასული და რაღაცას ვაკეთებდი. ამიტომ მამაჩემი სულ მეუბნებოდა ძიუდოზე უნდა შეგიყვანოო. პატარაობიდანვე ტვინში ჩამიჯდა, რომ ძიუდოზე უნდა მევლო და შემდეგ როცა შევედი, ძალიან მომეწონა ეს სპორტი. გამარჯვების გემოც მალე გავიგე და სტიმული მომეცა. პირველი მედალი რომ ავიღე, სიხარულისგან დავფრინავდი. იმ დროს ჩემი ბავშვური ფიქრები მაინც მედლისკენ იყო მიმართული“.

ღონისძიებით კმაყოფილია სკოლის ადმინისტრაციაც, სადაც აცხადებენ, რომ ამგვარი აქტივობები კვლავაც გაგრძელდება.

„მისი ვიზიტი ემოციურ ფონზე წარიმართა და დაუვიწყარი იყო ჩენთვის. მოსწავლეები დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩემპიონს და სიამოვნებით მოისმინეს მისგან საინტერესო რჩევები. ასევე ჭიდაობაში გამართულ შეჯიბრზე მოპოვებული გამარჯვება მიულოცეს ნიკოლოზ მუშტარაულს მისი კლასის დამრიგებელმა ლალი მეხრიშვილმა და სრულიად სასკოლო საზოგადოებამ.

პროექტის მიზანი იყო მოსწავლეებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის გაცნობიერება და მათი ცნობიერების ამაღლება არაფორმალური განათლების გზით. ეს განსაკუთრებული ღონისძიება წარუშლელ შთაბეჭდილებად დარჩა სამთაწყაროს საჯარო სკოლის საზოგადოებაში და კიდევ უფრო გააღვივა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი სიყვარული. სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ეკატერინე ჩიტაურმა გიორგის და ნიკოლოზს მადლობის სიგელები გადასცა“.

ილია მარტყოფლიშვილი

„ელტეკამ“ ახალმოსახლეობა იზეიმა

დედოფლისწყაროში ელექტროტექნიკის მაღაზია „ელტეკას“ მეორე ფილიალი გაიხსნა

2 ნოემბერს „ელტეკამ“ ახალმოსახლეობა საზეიმოდ აღნიშნა. მაღაზიის შოუ-რუმში წარმოდგენილია ტექნიკის მრავალფეროვანი ასორტიმენტი.

სასურველი ტექნიკის შეძენა შეგიძლიათ როგორც განვადებით, ასევე საქართველოს ბანკის მიერ დაწესებული ლაიმიტის შესაბამისად-„ნაწილ-ნაწილ“ ფარგლებში. მაღაზიაში გელოდებათ ფასდაკლებები და უამრავი სიურპრიზი.

მობრძანდით, გელით ახალ მისამართზე: **ქ. დედოფლისწყარო, მეგობრობის №3.**

ექსკურსია სამჭედლოში

სამთაწყაროს საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგის, ვარლამ თაგოშვილის ხელმძღვანელობითა და სკოლის დირექტორის, ეკატერინე ჩიტაურის ხელშეწყობით, ასევე კლასის ხელმძღვანელის ნინო მატიაშვილისა და მშობელთა თანადგომით X-XI კლასის მოსწავლეებმა მოინახულეს სოფელ არბოშიკის ცნობილი სამჭედლო. ისინი ხანჯლის გამოჭედვისა და გამოწრთობის პროცესს დაესწრნენ, რომელიც კომენტარებით წარმართა ახალგაზრდა ოსტატმა, თენგიზ ალადაშვილმა. ზაზა ალადაშვილი ამაყობს მემკვიდრით, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად შექმნას უმაღლესი ხარისხის საბრძოლო იარაღი და თამამად გადასცემს „ესტაფეტას.“

ექსკურსიის მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები და, პროექტის მიზნების შესაბამისად, სასწავლო მასალა შეაგროვეს.

ულოცავენ!

თამარ მოძღვრიშვილს!

ქალბატონო თამრიკო, „რძის ქალაქის“ მენეჯერს გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს 9 ნოემბერს და საქველმოქმედო საზოგადოება „ამაგდარის“ მიერ სამეწარმეო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ცოცხალი საგანძურის წოდების მინიჭებას

საუკეთესო სურვილებით, საუკუნის ლეგენდის და მეტრის ნომინანტების სახელით, **მანანა ახმეტელი, ნანი ბრეგვაძე, გოდერძი გონაშვილი, აბრამ ხარაშვილი, ვახუშტი ქიზიყურაშვილი** და **რობიზონ ნატროშვილი.**

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელმეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით , ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 11.11		სამშაბათი 12.11		ოთხშაბათი 13.11		ხუთშაბათი 14.11		პარასკევი 15.11		შაბათი 16.11		კვირა 17.11	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	12 °	2 °	11 °	3 °	10 °	2 °	11 °	1°	12 °	3 °	12°	1 °	10 °	-1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი